ავგისტოს ცხელ დღეებში, 2008 წლის ტრაგიკული მოვლენების გახსენებისას, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კიდევ ერთხელ შეეცადა საკუთარი სტრატეგიული ნიჭის წარმონეხს და მამაცი მოთავესარდლის იმიჯის გამართლებას. ახლო წარსული და თანამედროვე პოლიტიკა რომ სხაპასხუპით მოილია, მერე, როგორც სწვევია, საუკუნეების მიღმაც გადაიხედა და ქართლის მეფე ვახტანგ VI მსუბუქად შემოქილიკა(!). თავად კი ამბობს, მე არ ვადარებ ჩემს თავს მეფეებს, მაგრამ დავითის საფლავზე ფიცის დამდებ მიხეილს მედროვეებმა იმდენი უძახეს, აღმაშენებელი ხარო, რომ თავადაც დაიჯერა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ მოიტანდა ყოველად უადგილო შედარებებს მეფეთა ცხოვრებიდან და ამით იმ უხერხულობას აირიღებდა, რაც არაერთხელ დასტეხია თავს მატანედან ამოგლეჯილი მონაკვეთების აწყობში "ჩაკერებით".

"საქართველოს ასსოვს ბევრი გმირი მეფე რომლებიც ბევრ უიმედო ომში ჩაება, მაგრამ მე არ მახსოვს, რომელიმე გმირად გამოეცხადებინათ, რომელმაც ჩააბარა მტერს ყველაფერი და გაიქცა. ვახტანგ VI, განათლებული კაცი, მაგარი მეფე იყო. უცებ მოჰქიდა თავის ხალხს ხელი და გადაიხვეწა რუსეთში. რაც არ უნდა "ფეფხისტყოსანი" დაებეჭდა და რაც არ უნდა დაეჭვიანებინა(?) და კანონები მიეღო, ქვეყანა მიატოვა და წაიქცა. მე დავიდე ფიცი აღმაშენებლის საფლავზე გელათში. ნამდვილად არ ვადარებ თავს დიდ მეფეებს, ქართველ ხალხს ჩემთვის არ მოუცია ნება, რომ მტერს ჩააბაროს ყველაფერი და თავადაც უიმედო სიტუაციაში სრული კაპიტულაცია გამოაცხადოს... საბოლოო ჯამში, ისტორია განგვსჯის, რადგან ქართული სახელმწიფოებრიობა ჩვენ გადავარჩინეთ".

საკაშვილის ეს ისტორიული (თუ ისტორიული?) რაკურსი, განცვიფრების ხარისხით, ახლოს ვერ მივა მის მიერვე წლებს წინ წამოსროლილ "გენიალურ" სიბრძნესთან, რომ თურმე, ფერდინანდები, ვიდრე სამშობლოს დაუბრუნდებოდნენ, 400 წელი მღეროდნენ "სულელებს", თუმცა ვახტანგ მეექვსის მიერ "მიღე-

ბული ლექსიკონებიც" ის "შედგება", რომელიც მიშამ "უანგაროდ" დაუტოვა ქართველობას კიდევ ერთ "მარგალიტად". ამ ყველაფერს დიდი ხანი მიეწეოთ, მაგრამ არსებობს ხალხის კატეგორია, რომელიც ასეთ შედეგებს გაუზრებლად ელაპაჟს და რაც უნდა უმტკიცო, XIX საუკუნის მწერლის, აკაკი წერეთლის "სულიკო", რომელსაც პანტი შეუწყო ვარინკა წერეთელმა, შეუძლებელია, შაჰაბასის კარზე ოთხი საუკუნით ადრე ემდგრათ ფერდინანდებს, ანდა ვახტანგ VI ლექსიკონების შედგენით არ იყო დაკავებული, მაინც არ დაიჯერებდა, რადგან მათთვის პრეზიდენტი ის კაცი კი არ არის, რომელიმაც წაგებული ომის სიმწარე ქართველობას რუსთაველზე ტაშფანდურით გაანელებინა, არამედ "წამებული გმირი", რომელსაც შინა და გარე მტრებმა აღმშენებლობა არ დააცადეს.

მნელია იმის თქმა, რატომ გამოიყვანა მიშამ ვახტანგ VI იმ მეფედ, რომელმაც "დაკრა ფეხი", მიატოვა საქართველო და გადაიხვეწა, რადგან სააკაშვილის ისტორიული პარალელები იმდენად პარადოქსული თქმაა, რომ შეუძლებელია, მისი არსის გაგება. თუმცა, ფაქტია, რომ ამით შეეცადა ერთდროულად რამდენიმე კურდღლის დაჭერას. ერთი: ქართლის მეფე რუსეთს წაივია დიდი ამაღლი, მაგრამ დახმარება ვერ მიიღო და იქვე აღესრულა (გვგჯც თქვენი ერთ-მორწმუნე რუსეთი, მიშას მქირდავებო, ხომ გეუბნებოდით, რუსებს ნუ ენდობით!), მეორე: ვახტანგ მეფემ მიატოვა ის საქართველო, სადაც საუკუნეების მერე მოთავსდებოდა სააკაშვილი - "გმირულად იომა" და მტერს არსად გაექცა (თუ გორის მცირე ინციდენტს და ხოხვაში გადატყვევებულ ხელ-ფეხს არ გაუფხსენებთ) და მესამე: თითქმის დასრულების სტადიაშია ჩვენი პატრიარქის მიერ რუსეთთან დაწყებული მოლაპარაკება ასტრახანიდან ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ II-ის გადმოსვენების თაობაზე. სააკაშვილს კი, პერევის შემთხვევიდან მოყოლებული (როცა უწმინდესის თხოვნის საფუძველზე გაუფანდილი რუსის ჯარი პრეზიდენტმა ყოველად უადგილო ნიშნის მოგებით უკანვე შემობრუნებინა), არასოდეს მოსდიოდა თავადად ქართველთა სულიერი წინამძღოლის ავტორიტეტი და ეს მისი კიდევ ერთი უსუსური მცდელობა იყო, რათა ეთქვა: - სწორედ ვახტანგ VI-ზე, იმ მეფეზე, რომელმაც მიატოვა ბრძოლის ველი და გაიქცა საქართველოდან, ეხვეწება პატრიარქი რუსებს, მისი სამშობლოში გადმოსვენების ნება დამართოთ(!).

ქართველი მეფის ასე პაპირად განმსჯელ პრეზიდენტს გვიჩნდა შეგახსნოთ, რომ მისგან განსხვავებით, ვახტანგ VI, როგორც მეფე და მოთავესარდადი, წინა ხაზზე, პირდაპირ სიკვდილის რკაღში, შეიძლებოდა ერთად, ხმაღამოღებული იბრძოდა. ეს ქვეყნის მეთაურის უპირველესი ღირსებაა და თუ ეს არ გამოვიცდია, უხერხულია, მოთავესარდად იწოდებოდე.

ისიც უხერხულია, რომ სხვის მიერ მიტოვებულ ომსა და გაქცევაზე საუბრობდე, როცა თავად ავიტყვებთ, რომ უხერხულია ქუსლებით, ბრძოლის ველს ვინ ჩივის, მისი მისადგომები(!). და მოავარი: ვახტანგ VI-მ მიიღო კანონები, რომლის ძალითაც მოაწესრიგა ქვეყანაში არაერთხელ დარღვეული სამართალი, ლაგამი ამხსლო თავდასულ ფეოდალებს და შეეცა მისცა ხალხის ქვედა ფენას, რათა მათ შრომისთვის აუცილებელი პირობები ჰქონოდათ და ქვეყანას სრულფასოვნად გამოსდგომოდნენ. ამისთვის მას სჯულმდებელი უწოდეს. ახლა შევადართ "გაქცეული" ვახტანგ VI "დარჩენილ" პრეზიდენტს, რომლის "ფეოდალები" ცოცხებით აწიოკებდნენ და ცხოვრებას უნგრევდნენ ყველას, ვინც კი თვალში არ მოსდებოდა და სხვა ათას კანონდარღვევას სჩადიოდნენ. ანდა ქილიკი "ფეფხისტყოსანი" ბეჭდვაზე რა საკადრისია. იმ დროისთვის სტამბის დაარსება, წიგნების ბეჭდვა და საზოგადოების განსწავლა მართლაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე იყო და არა "ნაციონალური განათლების რეფორმა", ყველაფერს რომ ასწავლის, გარდა ჭეშმარიტი ქართულისა.

რასაკვირველია, ვახტანგ მეფის ის ნაბიჯი არაერთგვაროვნად აღიქმება. ისტორიკოსთა ერთი ნაწილი რუსეთში ამაღიანად წასვლას შეცდომად უთვლის და იქნებ იმ ისტორიულ მონაკვეთში ასეც იყო, მაგრამ ის ბრძოლის ველიდან გაქცეული არავის უნახავს. იბრძოდა, როგორც შეეძლო, უსაშველოდ მოძალბებულ მუსლიმანთაგან ქვეყნის სხნა ერთმორწმუნე რუსების ხელით მოინდობა (ეგროპასაც სთხოვა დახმარება, მაგრამ...) და როცა უამრავმა ელჩობამ შედეგი არ გამოიღო, თავად წაივია პეტრობურგს იმის იმედით, რომ იმპერატორთან შეხვედრა მოავარება მისი წინამორბედების დაწყებულ საქმეს. ვერ გამოვიდა ისე, როგორც ჩავიქრებულნი ჰქონდა და იმედ-დაკარგული ასტრახანში აღესრულა.

P.S. ისევ სააკაშვილის სიტყვებით დავასრულებ: "საბოლოო ჯამში, ისტორია განგვსჯის, რადგან ქართული სახელმწიფოებრიობა ჩვენ გადავარჩინეთ"... მამაცხონებულო, თუ ისტორიის სამსჯავროს ელოდები, ბოლომდე ენდე და თავად ნუ გამოგაქვს ვერდიქტი. კიდევ საკითხავია, რა გადაარჩინე და რა - არა. უბრალოდ, ისტორიული პარალელების მოყვარულ კაცს, ისტორიული ფაქტების გარდა, ისიც უნდა გახსოვდეს, რომ წარსულის ქილიკით მომავალი არავის აუშენებია. აღმაშენებელზე აღარას ვიტყვი, თუნდაც ვახტანგ VI-ის დარი სახელი რომ შეგარჩეს საუკუნეების მერე, ქვეყნის ჯირის-უფალთა ამაღლაში ბოკერია და თაქთაქიშვილი კი არ უნდა გყავდეს, არამედ სულხან-საბა და გურამიშვილი(!).

დანარჩენს ისტორია მართლაც თავად განსჯის...

ხ. სხნიაშვილი

შეშინებული კოლხი ვაშკაცის, კაცურკაცობის მტალონის მიხეილ (ლულუკი) ავალიშვილის ბახსენება

"ეთიარცა ცეცხლი მარტოდა სჩანს ველსა ზედა მშობილი, რომლისა კვამლი პაერში ქარის შებურვით, არის მქრალი, გერედ იქნების აღხოცილი ამ სოფლით მისი სახელი, გზა ცხოვრებისა ვინც გაგლო და არ აღბეჭდა ნავალი..." ბრ. ორბელიანი

ჩვენო ლულუკ! ისეთმა ვერაგმა სენმა დასაღებურა შენს სხეულში, რომლის დამარცხება მხოლოდ სიკვდილს შეეძლო. შენც ორივეს ერთად შეებრძოლე - ავადმყოფობასაც და სიკვდილსაც, მაგრამ დამარცხდი, ძმაო, სიკვდილმა გამიარჯვა ავადმყოფობაზეც და შენზეც.

მართლაც ზედამოჭრილია შენზე ფრანსუა დე ლარიშოუკოს სიტყვები: "ყველაზე მამაცი და გონიერი კაცი ისაა, ვინც ყველაზე საპატიო საბაბით თავს არიდებს სიკვდილზე ფიქრს, მაგრამ ყველა ვისაც მისი ძალა შესწევს, რომ თავად გაუსწოროს და წარბეშებულად შეეგებოს ბედისწერას ამ საზარელი გარდაუვალობას - სიკვდილს, დიდი პიროვნებაა, გმირი და, ამავე დროს, უკვდავყოფილი".

ლულუკ, შენ საოცრად დიდი და მოსიყვარულე გული გქონდა, ახლა, დროთა გან-

მავლობაში ხანდახან გვიკვირს, როგორ იტყვდა იგი ამხელა სიყვარულს თავისი სათნო და ერთგული მეუღლის - ნელის, არანეულებრივი შვილების მარინა და პამლეტის, შვილების შვილების, სანათესაოსა და დიდი სამეგობრო წრის მიმართ, რომლებშიც დღესაც დღეგუნდასავით დადის ამ საოცარი პიროვნების სიკეთე და კეთილშობილება.

წახვედი, დაგვტოვე და შენი წასვლით თითქოსდა ფრთები მოსტეხე შენს ღამაჰ ქალაქს, შენს ცოლ-შვილს, სანათესაოს, სამეგობროს, ასე რომ გიყვარდა და აღმერთებდი. შენს წასვლას, სხვა, ჩვეულებრივ მოკვდავთან განსხვავებით, სხვა იდუმალება ახლდა, ის იდუმალება, ამაღლების განცდა რომ ახლავს ან, ეს კი შენისთანა რჩეულ და ღირსეულ კაცთა ხვედრია. იშვიათად მოიძებნება ასე ყოველმხრივ კარგი თვისებებით შემკული ადამიანი, უამრავი კარგის გახსენება შეიძლება შენზე, კაცზე, რომელსაც დიდი სიყვარული და ავტორიტეტი ჰქონდა დამსახურებული ირგვლივ მყოფთა შორის და რაოდენ მტკივნეულია, რომ ასეთი პიროვნება ჩვენს გვერდით არა ხარ. ვაჟაკი კაცი ამქვეყნიდან ზეციურ საქართველოში გადასვლის შემდეგ ცოცხალთა შორის დატოვებული სახელით ფასდება და როდესაც შენ

გახსენებთ, ვამყოფთ, რომ კაცურად იცხოვრე, სიციცხლის ბოლომდე ამყად ატარე თავზე ნამუსის ქედი. ოჯახის, ნათესავების, მეგობრების პატივისცემით გარემოსილმა დასტოვე ეს სულიერი, წახვედი და ამქვეყნიდან დაიხილეთა გულეში მწარე ტკივილი და დარჩი!

შემოდგომის ფოთოლცვენას ჰგავდა შენი სიციცხლე, რომელიც გაზაფხულის ჟამს გაშლილი თოთო კვირტის ამოსუნთქვასავით დამთავრდა. გავა წლები შენი გარდაცვალებიდან, წლები კრიალოსანთა მარცვლებით თაიჩიებთან, მაგრამ დრო ვერაფერს დააკლებს შენზე სევდიან მოგონებას, შენი სულის მეხსად მუდამ აინთება სანთლები, საფლავს კი არასოდეს მოაკლდება ყვავილები.

შენ პირნათლად მიხილდე შენი ადამიანური ვალი ერისა და ქვეყნის წინაშე!

ძვირფასო ლულუკ! სიკვდილთან ყველა მოკვდავი უძღურია, მაგრამ შენ გარკვეულწილად გააფრმკრთალე სიკვდილის გამარჯვება, ამ ქვეყნად შენს მიერ დატოვებული სიკეთე უკვდავია. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ღამაჰ სულად, მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა!

როზმირ ბობენია, ზუგდიდი

პოეზიის კუთხე

კოეპური შემეცნება

მიწიერია მხოლოდ ხორცი და წამიერად; არ უწერია სულს დავანება აქ რომ ეღიროს.

მისთვის უცხოა ამქვეყნიური სხვა კარიერა, ნათების გარდა სულიერი აღმავთვის დროს.

მისტიკურია ვით უხორცი, ეშმაკ გონება; დოგმა სიმბოლოდ, თვით სიცოცხლე აქ მოარული: გარდა გრძნობისა დვთაებრივი ზეშთაგონებად, ადამად ყოფნა მოწოდებით სველა ფარული.

არაფრად ვაგებდ ჯოჯოხეთურ ცხოვრების იმ ზარს, რომელიც მესმის მარადიულ ერთ ადგილიდან. გონება გახცნა ამქვეყნიურ არსების მიზანს: ვაგლახ, საფლავში გაღვიძებულას ლეოთარგიდან!

რა უნდა იყოს შეუცნობი იმ გარდასახვის, ნუგეშსაცემად ბიბლიაშიც მოვიყვებთან.

აღკვორული განმარტება სხვადასხვა სახის, რელიგიური ხასიათის მოტივებია.

ბუნება ჰბადებს ყოველ სულგმულს მრავალ ტირაჟით; წყალში მზის ძალით განუწყვეტლივ სიცოცხლეს სახავს, საბოლოოდ კი სიცოცხლე მხოლოდ მირაჟი და ემონება დაუნდობელ ქვესკნელის მსახვრალს.

შენი გონებით ჰომოსისგან თუ შორს წახვედი; მას შენ საწუთრო კუნაპეტი გაუშობიან; მწყურვალეს წყალი, მშვიდს პური, მადლის სახელით, ღვთიური მადლი - შემეცნება გაუზიარე.

მუზას

შემეცნების ის სათავე, მე რომ ვიღებ ამანათებს; მომანიჭე სისადავე, პარმონია დამანათლე.

და შემინდოს შენმა რისხვამ, პოეზიით დამაპურე, ჩემო მუზა, მისხალ-მისხალ, შენი სიბრძნე დამაპკურე!

არა გთხოვო მე არამი და თუ ნობათს მართმე ვინემ; ჩემი გულის ეს ვარამი ემხით ღაღად მათქმევენ!

მე შენს ნათელს მიტომ ემონობ, ხმა ღვთიური გამაგონო; სხვებს რომ გულზე მოვეფონო, ისეთი რამ შთამაგონო.

ო, შენა ხარ ცეცხლის მწენი... მარად ველი ამანათებს; მუზავე, იქვეის ჩემი სული, რაც არ იქვის არ ანათებს!

ბურამ ჯიქია, ჩხოროწყუ, ს. ლესიჭინე

სახალხო მოძრაობა "სამშობლო" და გაზეთ "ილორი"-ს რედაქცია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება, სამშობლოზე უსახდვროდ შეყვარებული, წესიერებითა და პატიოსნებით გამორჩეული ადამიანი

ნოდარ (ალეიოზა) აბშილაძე

და უთანაგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

ჯალალონია-ჯალალანიების ბვარის დალოცვა

2014 წლის 25 მაისს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II დალოცავს ჯალალონია-ჯალალანიების გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც "ღმერთი ბანკში" გახსნილია ანგარიში. **ფშო 220101480 ანბ. №GE44LB0711101664171640** (როლანდ ჯალალანიას სახელზე). მნიშვნელოვანია, ყველა ჯალალონია-ჯალალანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასახუტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70** - როლანდ ჯალალანიას.

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი "ილორი" №171-233

როგორც ითქვა, 30-მდე (თუ ცოტა მეტი) ძველი კოლხური-პელაზგური ტომი ქმნიდა წინაპერძულ კულტურას, რომ „არგოს“ ეკიპაჟის მთელი შემადგენლობა პელაზგები იყვნენ და არა ელინები (აკ. ურუშაძე). ასე, რომ არგოს თქმულების თავი და საფუძველი კოლხეთი იყო (გ. ჭკელიძე).

აკად. სიმონ ჯანაშია მეგრულ-ჭანურ ტომებს შორის ჩამოთვლის „წინი“ და „წაზი“ ტომებს, რომელთა სახელის მიხედვით წარმომდგარა სახელწოდებანი „წინდისა“ (წინის მიწა) – წალენჯიხისა და „წინწარი“ (წინის წყალი) – ჭანისწყალი (ჩვენ ადრე გამოვქვეყნეთ ლექსი „წალენჯიხისა“ (წინდისა) და „ჭანწალის“ შესახებ: თუ სად უნდა აშენებულიყო ეკლესია ოთხივე მხარის მცხოვრებთა უთანხმოებას იწვევდა. ბრძენ კაცს უთქვამს: ხარს ავუკრათ თვალები, გავაყოლოთ პატროსანი პიროვნება და სადაც ხარი დაწვება, ეკლესიაც იქ ავაშენოთ. გამყოლმა დაიბახა ხარის დაწოლის შესახებ. შეკრებილმა ხალხმა კითხა როგორი ადგილიაო? გამოვლამა უპასუხა: „ჭე დისა დო, ჭე წყარო“ (ცოტა მიწა და ცოტა წყალი). მადლობის თავზე არის გაშლილი ველი – სწორი ადგილი, დაბლა კი პატარა მდინარე მიედინება. „ჭე დისა“ (ცოტა მიწა) – წინდისა, „ჭე წყარო“ (ცოტა წყალი) – წინწარი. ჭე წყარი და ჭე დისა – წინწარი დო წინდისა. სწორედ, შესანიშნავ მადლობ ადგილზე აშენდა მაცხოვრის ფერცვალების ეკლესია, როგორც აღინიშნა, რომლის 1000 წლის თავი 2003 წელს იხიშვს წალენჯიხაში, (რომელშიც მეც ვეღებულობდი მონაწილეობას). აღნიშნული ლექსების ისტორია კარგად იცოდა სახელოვანმა პიროვნებამ, დირსეულმა ვუკაცმა ვლადიმერ (ლადი) ისლამის ძე კვარაცხელიამ. რა თქმა უნდა, აღნიშნულ ლექსებსაც აქვს არსებობის უფლება. მიუხედავად იმისა, რომ ს. ჯანაშიას შეხედულება უფრო სწორი და ზუსტია, აღნიშნული ლექსები მაინც გამოვქვეყნეთ. ს. ჯანაშიას შეხედულებას ეთანხმება ცნობილი მეცნიერი შოთა მესხი. დ. ლომიძე-შვილი წერს: „არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად ირკვევა, რომ ქვეყნის ის რეგიონი, რომელიც დღეს წალენჯიხის რაიონის ადმინისტრაციულ საზღვრებში შედის, დასახლებული ჩანს ჯერ კიდევ ნეოლითური ხანიდან...“ მაშასადამე, ირკვევა, რომ მრავალი საუკუნით ადრე, ვიდრე ათასწლოვანი წალენჯიხის ეკლესია აშენდებოდა არსებობდა ადგილი სახელწოდებით „წინდისა“ და მდინარე „წინწარი“ (ალბათ ტომი „წინი“ და „წაზი“), ანდა, იმ მთაზე წარმართული სალოცავი იყო). წინდისა – ჭანთა დისა (ჭანთა მიწა).

ვახუშტი ბატონიშვილი წალენჯიხისა და ჭანისწყალის შესახებ ამბობს: „ზუგდიდის ადმოსავლეთით, მთის პირზე, არის წალენჯიხის ეკლესია გუმბათიანი, დიდშენობა, შეენიერ, კეთილს ადგილი, ზის ეპიკოპოსი, მწყემსი ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორის ადგილთა, კავკასილამ ზღვამდე“.

როგორც ითქვა, ვლ. ალფენიძე მიუთითებს კიდევ ორ კოლხურ ტომზე: აფუნი

და მესი. წალენჯიხის მთის წინა სამეგრელო (ლაკადა), საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და უღამაზესი კუთხე. წალენჯიხის თითქმის შუაზე ყოფს მდინარე ჯანისწყალი, რომელიც სათავეს იღებს წითელ მთაში (მეგრულად „ჯომა გვალა“). მდინარე როცა აღიდგება წითელი ფერი (ვარდის ფერი) ხდება. წითელი მთიდან მომდინარე ჭანის წყალი (წინწარი) გაივლის, იქ მას უერთდება ასევე, კამკამა, პატარა მდინარე წისკვილარა. მდინარე გაივლის სოფელ ჯვალას და სოფელ სახინოს დასაწყისში იერთებს მდინარე იჭირას... ხეობა, სულ გინდა უყურო მას და ტკბებოდე ამ ხეობის სილამაზით. მოგვყავს წარმოშობით წალენჯიხელი შესანიშნავი პოეტის ტერენტი გრანელის ლექსი.

წალენჯიხა

მოდის საღამო, ეს დღე ილევა და ირგვლივ სოფლის თეთრი სივრცეა. ადარ ეტყობა სოფელს ცვლილება და წალენჯიხა ისევე ისეა. მწვანეა ველი ახლო მდებარე და გზაზე შუშა მიაქვთ ვიდაცებს. ქრიან ბავშვების მოვლებანი და მიმაქვს ფიქრი წალენჯიხაზე. ახლოს მტერია დაუნდობელი და მოდის წვიმა, სუფევს ავადარი. ჩანს წალენჯიხა – ჩემი სოფელი, ჩანს წალენჯიხის ძველი საყდარი. და ქარიშხალი სოფელს არ აცდა. ამაირ იბაღას არც მე ავცდები. კვლავ ჭადრებია ეკლესიასთან და იქვე ახლოს დგანან ცაცხვები. მოდის საღამო, ეს დღე ილევა და ირგვლივ სოფლის თეთრი სივრცეა. ადარ ეტყობა სოფელს ცვლილება და წალენჯიხა ისევე ისეა.

აი, ესენი (ძირითადად ზემოთ ჩამოთვლილი ტომები) არიან კოლხები: მეგრულ-ლაზ-ჭანთა ტომობრივი წინაპრები და ისინი იწოდებოდნენ წინაპერძულ მოსახლეობად, იგივე პელაზგებად, უპირატესად, ბერძენებამდე ბერძნულ მოსახლეობად.

აღსანიშნავია, რომ ჰეროდოტე პირველი უცხოელი მეცნიერია, ვინც ეგვიპტურ პირამიდებს ესტუმრა და რომელიც აღტაცებული იყო არა იმდენად ეგვიპტური პირამიდებით, რამდენადც კოლხეთის წარსულით, კოლხეთის ისტორიით. აპოლონიოს როდოსელი, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ალექსანდრიაში, განცვიფრებული არაა ეგვიპტური პირამიდებით, არამედ უფრო კოლხეთის ქვეყნით; არც სტრაბონი იღლებოდა კოლხეთის ქედ-ადიდებით. კაიროში ცხოვრობდა პლატონიც, რომელიც ბევრს ლაპარაკობდა მეფე აიეტის მამაზე.

ცნობილია, რომ ჰეროდოტე და ბერძენ ავტორთა ერთი ნაწილი (მათ შორის როდოსელი), როგორც ბევრჯერ აღვნიშნეთ, ამბობენ, რომ კოლხები და ეგვიპტელები ერთი ხალხია ან ნათესავეები არიან, სკიმეც თავის „ახიაში“ ამბობს, რომ კოლხები ეგვიპტელებსაგან არიან წამოსულნი და ამადლებულად წერს აიეტზე, მედიაზე, საერთოდ კოლხეთზე.

მეგლევარი აღინა ბადაშვილი ეგვიპტეში შესვედრების შესახებ წერს, რომ ეგვიპტელ მეცნიერებს ანტიკურებთან არაბიზმები კოლხეთში – კოლხურში (სწორედ ამაზე მიუთითებს ვლადიმერ ალფენიძე და ამიტომაც შეადგინა და გამოაქვეყნა ნაშრომები (ლექსიკონი) და მასალები კოლხური-ეგვიპტური სიტყვების თანდამთხვევის შესახებ). და დასძენს: ბევრი რამ ეგვიპტეში კოლხურ თემს გვაგონებენო. კერძოდ, ხარებიანი გლეხი, ტალავური, ჭა თავისი ოწინარით, ქვევრები, ნაგები არგოს ფორმის, ისლის ქოხები, ალიზი, კერამიკის წარმოება ისე, როგორც სამეგრელოში, ქვაზე კვეთა, ხატვა, აღიბასტრის წარმოება, ხის დამუშავება, რკინაზე მუშაობა, ქსელის ბეჭდავა, ქსოვილის ამოყვანა, ძაფის ამოღება, საერთოდ ფარაონის დროინდელი სოფლის ყოფა.

სინას გზაზე ადგილი, რომელსაც „კირიბი“ ჰქვია. ნილოსის მებაღურები ერთ-ერთ ლამაზ თევზს „მარგალიას“

უწოდებენ. ისევე საინტერესოა, რომ დაღესტნელი მეგლევარი ზიაუნდი აღნიშნავს დაღესტანში ლილეუსა და პასმაზის ტერიტორიაზე დღესაც ცხოვრობს 500-მდე მეგრული წარმოშობის ხალხი, რომლებიც თავიანთ თავს მარგალიას უწოდებენ. კოლხეთის უძველეს ისტორიაზე მიგვანიშნებს გვარი „მარგალი“-ს და სხვა მრავალი მეგრული გვარები ესპანეთში, ასევე „მარგალია“ თევზის სახელი ეგვიპტეში (ქაიროში), „კოლხუას ენის“ – „მაიას ენის“. არსებობა უძველეს დროში, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ენებში კოლხური (მეგრული) ძირები, 1492 წლის კოლუმბის ექსპედიციაში სამი მეგრელის მონაწილეობა და მრავალი სხვა, რომლებზეც ამ ნაშრომშია ლაპარაკი.

როგორც აღინიშნა, აიეტის ძმა აქციუსი (აქცია) ეგვიპტეში არსებს მზის ქალაქს ჰელიოპოლისის და აკადემიას. ქალაქი გახდა უძველესი სამყაროს მეცნიერული ცენტრი, უძველესი უნივერსიტეტი. აქციუსი ეგვიპტელებს ასტრონომიასა და ასტროლოგიასთან ერთად ასწავლიდა ღვთისმეტყველებას. ქალაქი მტკიცედ იდგა მრავალი საუკუნის განმავლობაში. ქალაქის ნანგრევებს ბერძენებმაც ჰელიოპოლს უწოდებდნენ, ეგვიპტელები ეინრეს, რომელიც თანდათანობით შეერწყა კაიროს.

შედარებით უახლესი ამბებიც გვინდა აღვნიშნოთ. ცნობილია, რომ მამლუქები დიდხანს მართავდნენ ეგვიპტეს. მეცნიერები (მათ შორის ადიდეველები ა. ხოტკო და სხვები) აღნიშნავენ: მამლუქები უმთავრესად მეგრული წარმოშობისანი იყვნენ. XVIII საუკუნის შუა ხანიდან ხელისუფლების სათავეში მოსული ალ-კახადალის გვარ-სახელი მეგრული იყო. კაიროს მრავალ მჩუქარ შორის კარგადაა ცნობილი პასანის მეჩეთი, რომელსაც მამლუქთა ეპოქის მარგალიტს უწოდებდნენ.

როგორც ითქვა, ფარაონის შემდეგ ეგვიპტეში პირველი პირი იყო ვეზირი, რომელსაც ძველ ეგვიპტურად „წათი“ („წათი“) ერქვა. კოლხეთის ლეგენდარულ მეფის წაზის ძმის შემკვიდრის, სახელი იყო „წათი“. რა კავშირია ეგვიპტურ „წათი“ და მეგრულ „წათის“ შორის? „წათი“ და „წათი“ მეგრულ-ეგვიპტური სიტყვებია. გავიხსენოთ, ზემოთ აღვნიშნული, პირამიდის მშენებლობას, ფარაონის პირველი ვეზირი იმხოტეპე წარმართავდა, რომელსაც ძველ ეგვიპტურად „წათი“ ერქვა.

ძე. წ. IV ათასწლეულში შექმნილ ქალაქს ეგვიპტელები ხუთკაპოტის, ქემეთს, ფაუსს უწოდებდნენ, ბაბილონელები კი ჰეკუპოტისა, რაც არაბულად ციხე-სიმაგრეს ნიშნავს.

გვინდა მოვიყვანოთ აკ. ურუშაძის მიერ გადმოცემული აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკიდან ადგილი: „იყო დრო, როცა ის ვარსკვლავები, ცაზე რომ ციმციმებენ, არ არსებობდნენ, მაშინ საბერძნეთში მხოლოდ არკადიელები იყვნენ, რომლებიც მთავრის დაბადებამდე ცხოვრობდნენ. ამბობენ, რომ აქედან გამოიშვა არკადიელები ერთმა ვინმემ, უმამარე ქალაქი დააარსა, მათ შორის ქალაქი ეა. მას შემდეგ მრავალმა საუკუნემ გაიარა. ამ კაცის მიერ დაარსებული ეა ახლაც მტკიცედ დგას და აქ ცხოვრობენ იმ ხალხის (არკადიელების) შამომავალნი, ვინც მან მაშინ საცხოვრებლად დაასახლა. ვიმეორებ, მათ შენახული აქვთ მამებისაგან დანაწერი კირები, სადაც წყლისა და ხმელეთის ყველა საზღვარი მოგზაურისათვის ნაჩვენებია“.

ამ მითოსური თქმულების თანახმად, სამყაროს შექმნის პერიოდში, მთავრის დაბადებამდე და როცა ვარსკვლავები ცაზე „არ არსებობდნენ“, საბერძნეთის მიწაზე ბერძენებამდე ცხოვრობდნენ არკადიელები, რომელთა მეციდრმა დააარსა ქალაქი ეა, იგივეა აია, ანუ ქვეყანა კოლხეთი.

პროფესორი სერგი მაკალათია ხაზგასმით ადასტურებს, რომ ეა კოლხეთის სატახტო ქალაქი იყო, რომელსაც პირველად ესტუმრნენ არგონავტები ოქროს საწმისისათვის. კირები, კვირბი ეტრატის მნიშვნე-

ლობისაა. „გამოდის რომ პელაზგიაში, ანუ არკადიელებთან მეტყველებდნენ მეგრულის წინაპრე კოლოზე, თანაც იმ დონეზე, რომ დამწერლობაც კი ჰქონდათ შემოდებული... არკადიელი პელაზგების სახით ჩვენ ვეცნობით მეგრულ-ლაზთა შორეულ მოდგმას და მის მწიგნობრულ შემოქმედებას – „ნაწერეკირებს“.

როგორც ზემოთაც აღვნიშნა, აკ. ურუშაძე გამოკვლევაში „კოლხური დამწერლობის შესახებ“, უმდიდრეს წყაროებზე დაყრდნობით ადასტურებს, რომ „კოლხეთში დაცული ტყავი ნამდვილად ოქროს საწმისის კი არ იყო, არამედ „ტყავზე ნაწერი წიგნი“, რომელშიც აღწერილი იყო, თუ როგორ მიგველო ოქრო ქიმიის საშუალებით, ე. ი. არგონავტები კოლხეთში ჩამოსულან არა ოქროს ცხვრის ტყავის, არამედ ოქროს მოპოვების წესის წასაღებად და თავისთვის გამოსაყენებლად. რომ ანტიკურ ხანაში ნამდვილად არსებობდა პელაზგური წიგნი, პელაზგური დამწერლობა და აღმოჩენილი საფლავის ქვა, ე. წ. ლემნოსური სტელა (ლემნოსი პელაზგების ერთ-ერთი საცხოვრისი იყო) პელაზგური ანბანით ეტრუსკულ ენაზე შესრულებული ნაწერია. ცნობილია, რომ ეტრუსკები პელაზგურ დამწერლობას იყენებდნენ. მეგრელებს აქვთ შესანიშნავი სიტყვა „ჭარუა“ (წერა). თუ იმ უძველეს დროში დამწერლობა არ ქონდათ საიდან გაუჩნდათ სიტყვა „ჭარუა“?

მეცნიერთა ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, ასკენის, რომ, – წერს ავთანდილ გიორგობიანი – არგონავტების ჩამოსვლის ნამდვილი მიზეზი, იყო მელითონობის დიდი კულტურა, რაც კოლხეთში იყო. მათივე აზრით კოლხეთში ბრინჯაოს რენესანსი ძე. წ. მე-16-12 სს. პერიოდში. არგონავტების ჩამოსვლა მოხდა ძე. წ. მე-14 საუკუნეში. სწორედ ამ რენესანსის ეპოქაში. ე. ი. ბერძენებს ანტიკურებდათ ოქრო-ვერცხლის დამუშავების ტექნოლოგია – როგორ მიეღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით.

გ. ჭკელიძეს მოჰყავს საინტერესო მაგალითები პირინეის პელაზგურ გამოხაყოფებზე – ბასკებზე; ქ. ბილბაოში მცხოვრებლებს აქვთ ასეთი გვარები: ას-კურავა, ანობია, დანელია, ენობერია, ლოლუა, მელია, ნოლია, ფილია, სულოგვა, მარია, ენეგარია და ა. შ. აგრეთვე არის მეგრულ-ბასკური სიტყვების თანდამთხვევის მრავალი შემთხვევა; ასევე, სუფრის თამადის არჩევის წესი, ერთგვაროვანია კერძები: საცივი, მჭადი, ლობიო, სიმღერები, ცეკვები, ადგილის სახელწოდებები და სხვა.

ასევე, წინახეთურ მოსახლეობას შეადგენენ ქასქები, იგივე მეგრულ-ჭანური ტომები (გ. გიორგაძე, ნ. ხაზარაძე, გ. ჭკელიძე, კ. თოფურია, კ. შელია).

მეცნიერებაში დადასტურებულია, რომ თქმულება ოქროს საწმისის შესახებ, თავდაპირველად შეუქმნიათ არა ბერძენს, არამედ ბერძენებამდე ტომებს – პელაზგებს – კოლხური მოდგმის ხალხებს, რომლებიდანაც შემდეგ გადასულა ელინელებზე და ბერძნულ ანტიკურ მითოლოგიურ დამწერლობაზე. როდოსელის ნაწარმოების ყველა მოქმედი პირი პელაზგია, იგივე მეგრული (გ. ჭკელიძე), რომ კოლხი მედია ცოლად ბერძენს კი არ გაყოლია, არამედ თვისტომს – კოლხს – პელაზგს. ე. ი. „3300 წლის წინ, – მიუთითებს გ. ჭკელიძე – დასავლეთ საქართველოს, როგორც სამეფოს სახელმწიფოებრივი ენა იყო კოლხური – ამ ენაზე წარმოთქვამდნენ სიტყვებს და ლოცვებს მეგრელთა ტომობრივი წინაპრები: აიეტ, კირკე, მედია, იაზონი (საერთოდ, არგოს შემადგენლობა) – და, თუ ვენდობით ისეთ მეგლევარებს, როგორც არიან მიხაკო წერეთელი, აკაკი ურუშაძე, რისმაგ გორდუზიანი, თინათინ ყახნიშვილი და ბევრი სხვ. კოლხურ-პელაზგურად მეტყველებდნენ ზეგისი, პრომეთე, ჰერა, დიონისე, ჰეკატე და ა. შ.“.

კლიმენტი შელია, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (გაგრძელება შემდეგ ნომერში

სამართლიანობამ უნდა იზიაროს!

“მსაჯულად ყოფა ცუდია, ვინ ვერ ცნობს ცრუ და მართალსა, მოიცილებს საჯაროდ დააკლებს ვინც სამართალსა”.

მეფე არჩილი

წინა ხელისუფლება არ გეწყალობდა და ქართულ პრესას არ კითხულობდა, ამდენად, არ იცოდა თუ რა ხდებოდა საკუთარ ქვეყანაში, რა უჭირდა თუ უღებდა ხალხს. სწორედ ამან, სხვა ფაქტორებთან ერთობლივად, განაპირობა მათი უპირობო დამარცხება არჩევნებში და პოლიტიკურ სფეროში. დასავლური პრესა კი თავს არ იშუხებდა ქვეყნის შიდა მდგომარეობის გაშუქებით, დაკავებული იყო მხოლოდ სააკაშვილის განდიდებით, **“დემოკრატიის შუქურად”** წარმოჩენით, რითაც ნამდვილად დათვრილი სამსახური გაუწია თავის ფავორიტს და პოლიტიკურ სანაგვეზე მოისროლა. სწორედ დასავლეთის წაქეზებით და მათ საამებლად სააკაშვილის ხელისუფლებას, რომელსაც საკუთარ ხალხზე ხელი ჰქონდა ჩაქეული, სულ მტრებზე ჰქონდა საუბარი, მაგრამ ვინ მტრობდა მიშას ისე, როგორც თავად უმტრო საკუთარ თავს? იგი განდიდებია მანიას ჰყავდა შეპყრობილი, რაც ძირითადად ღირსების გრძობის დეფიციტითაა განპირობებული. ამ უღელქურმა დავით აღმაშენებელს შეადარა საკუთარი თავი. კარგად იცოდა, როგორი დავითიც იყო, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ მის მიერ მასად ქვეულ ხალხს დასავლეთის თვალში კერპი სჭირდებოდა მისი სახით. საინტერესოა, როგორ ჩამოუყალიბდა საკუთარ თავზე შეყვარებული მეშინაი ობივტელის ფსიქოლოგია, როგორ ჩაიხიბრა ნარცისიზმის ზმანებაში...

“ნაცმოძრაობის” მიერ განხორციელებული ე.წ. **“რეფორმები”**

საქართველოს დაშლის, გადაგვარების ღონისძიებათა კომპლექსი გახლდათ, შესრულების მანერა კი ყოველგვარ პასუხისმგებლობას მოკლებული, ფანფარონული, ზედმეტად თავდაჯერებული, ბრიყველიც კი, თუმცა მთლად ბრიყველს ვერ უწოდებ წინასწარ გამიზნული მოლაღატორები გეგმების აღსრულებას. გასაკვირი არც ეს გახლავთ, რადგან ვერც ვიღებოდა **“ვარდების რევოლუცია”**, რომელსაც საქართველოში შემოჰყვა უამრავი პოლიტიკური თუ მოქალაქეობრივი სიზუძმურე, თავიდანვე ფარსი გახლდათ, უნიჭოდ გათამაშებული სექტაკლი, რომელმაც მხოლოდ კაემანი და გასაკვირი მოუტანა ქართველ ხალხს.

ეს ტენდენციები დღესაც გრძელდება, რადგან სიცრუის წილში ვიბოძი **“ნაცმოძრაობის”** ბირთვი ვერასდროს შეგუგუბა სიმართლეს, არასოდეს აღიარებს საკუთარ შეცდომებს, შეგნებულად ჩადენილ უმძიმეს დანაშაულებს და კვლავაც ჩვეული უტიფრობით აგრძელებს ჩვენს დამოძღვრას! ამიტომაც შეეგება ახალ ხელსუფლებას ქართველი ხალხი იმის იმედით, რომ სამართალი იხიომებდა და დანაშაულები ხალხის სამსჯავროს წინაშე წარსდგებოდნენ, მაგრამ ამო გამოდგა ხალხის მოლოდინი – ჯერჯერობით ნაცებს კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულიც კი ხახვივით აქვს შერჩენილი.

გოეთე ამბობდა: **“ვინც პირველ დილს ცუდად შეიკრავს, იმას მთელი შესაკრავი დილები აერევა”**. არ მიუუჩინეთ საკადრისი ადგილი ნაციონალთა **“პირველ დილს”** – სააკაშვილს და დანარჩენი დილებიც აირიგენ – ბოკერიები, თარგამაძეები, კანდელაკები, კუბლაშვილები, მინაშვილები, გაბაშვილები, თაქთაქიშვილები და სხვა არამზადები, ნაცვლად იმისა, რომ მერაბიშვილს

ციხის საკანში ესხდნენ გვერდით, კვლავაც ხელისუფლებაში არიან თბილად მოკალათებულები და ურცხვად აქვთ გვასწავლიან ჭკუას!

ამის შემდეგ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ასე კატასტროფულად ეცემა **“ქართული ოცნების”** რეიტინგი, რომელშიც ხალხი **“კეთილ შურისმაძიებელს”** უფრო ხედავდა და არა პოლიტიკური კონკურენციის ვნებებს ბრმად აყოლილ რევანშისტს. კუბლაშვილის პროკურატურა ყველაფერს აკეთებს დამნაშავე ნაციონალთა გასამართლებლად და არა მათ გასასამართლებლად!..

ამით გათავხედებული ნაცები და მათი თავკარქაშა, აშკარად ავადმყოფი, სულბოროტი ბელადი სააკაშვილი კი კვლავ ჯიუტად მიიწვევენ ძალაუფლებისაკენ!

როდემდე? ნუთუ **“ქართულმა ოცნებამ”** იმისთვის გაიმარჯვა ოქტომბრის არჩევნებში, რომ კვლავ კაცთმოძულე **“ნაციონალები”** წამოგვასვან თავზე? რატომ ჰკონიათ, რომ ქართველი ხალხის მოთმინებას საზღვარი არა აქვს?

თუ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენისათვის მკვეთრი, ზოგჯერ კი მტკივნეული ნაბიჯები არ გადაიდგა, უკმაყოფილო ხალხი სწორ არჩევანს არ გააკეთებს, რაც უკუსვლასა და რეგრესს ნიშნავს, უკან კი წველიადი და უძრაობაა, რაც სიკვდილს უქადის ერსა და ბერს!

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ნიკოლოზ ლამბერის სიტყვები: **“ჩვენს მტერთა შორის ყველაზე საშიში მტერია ის, ვინც გვიჩვენებს, თითქოს ჩვენთვის იღვწის”**. ჩვენ უკვე თავიდან მოვიშორეთ ამგვარი უწმინდური ძალა და საკუთარი სიცოცხლის ფასდაც კი არ დაუშვებთ მათ ხელმეორედ აღორძინებას!!!

როზმირ ბოზენია, ზუგდიდი

ახალი შენაძენი თქვენი წიბნის თაროსათვის!

ფრიად სასიამოვნო ამბავი შევიტყვეთ – გამოიცა, ინგლისურ ენაზე ნათარგმნი, პროფესორ კლიმენტი შელიას ნაშრომი, რომელიც ეძღვნება კოლხეთს, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის სათავეს. აღნიშნული ნაშრომი კიდევ უფრო განამტკიცებს იმ ვეროპელ და ამერიკელ კეთილსინდისიერ მეცნიერთა შესხედვლებს იმის თაობაზე, რომ მსოფლიო ცივილიზაცია სწორედ კოლხეთიდან იწყება, ცივილიზაციის გარიჟრაჟზე კი მთელი სამყარო მხოლოდ ქართულ ენაზე მეტყველებდა.

ამ კონცეფციით ხომ სხვა უამრავი ერი იამაყებდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ქართველები ყველაფრით განსხვავდებით სხვა ერებისაგან, სწორედ ამიტომ უპირველესად, სწორედ ქართველებმა (იქნებ ქართველთა ქურქში გახვეულმა გადამთიელებმა) დააყენეს ეჭვის ქვეშ დასავლელ მეცნიერთა მტკიცება ქართველთა უპირატესობის თაობაზე, სხვა ერებთან შედარებით.

ბატონ კლიმენტი შელიას ინგლისურენოვანი წიგნი დასტამბა საგამოცემო სახლმა **“უნივერსალი”**. წიგნის რედაქტორები არიან პროფესორები ჯიბო ლომაშვილი და ჯემალ ჯინჯიბაძე, თარგმანი კი შესანიშნავად შეასრულა ქალბატონმა ელენე ფალავამ.

წიგნში გადმოცემულია კოლხური ენის საწყისები, იაპონელი **“კოლხების”** – აინების ცხოვრების წესი და მათი მსგავსება პრეისტორიულ წინაპრებთან, კოლხური ცივილიზაციის კერები და მსოფლიოში


მისი გავრცელების გზები და სხვა საინტერესო მომენტები. სასიამოვნო და საამაყოა, რომ ოთხმოც წელს გადაცილებული, თვალისწინის შესუსტებული მეცნიერი კვლავაც ძველებური შემართებით შრომობს და ცდილობს მავანთა ეჭვის ნიჟარაში ჩაჭედდომი მდიდარი კოლხური ისტორია გამოიხსნას უმეცართა და ანგაჟირებულ ვაი-მეცნიერთა ბრჭყალებსაგან.

ვისხენებ, თუ როგორი დაუფარავი აგრესიით შეხვდა **“ქართველ ისტორიკოსთა”** ერთი ნაწილი ჩვენს მიერ უიმედოდ დაკარგული დიდი ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის – **“ქართველ ერის ისტორია”** – გამოცემას, სადაც დიდი მეცნიერი ამტკიცებს, რომ სწორედ კოლხეთშია დავანებული მსოფლიო ცივილიზაციის საწყისები (ერთ-ერთ ავტორიტეტულ ქალბატონ ისტორიკოსს კი თურმე ბოლმით უთქვამს: **“საიდან ამოთხარეს ჯავახიშვილის ეს ნაწარმოები, ჩვენ ჯავახიშვილის რვატომეულში ყველა მისი ნაშრომი შევიტანეთ!”**). ალბათ მართლაც ზედმეტია ამ **“მეცნიერთა”** ქართველობაზე საუბარი და როგორც აწ განსვენებული, შესანიშნავი მეცნიერი, ადამიანი და მეგობარი ბატონი ანზორ შონია ბრძანებდა: **“ამ ვითომ მეცნიერებს ურჩენიათ აღიარონ რომ ეროვნებით სომხები არიან, ვიდრე დაეთანხმონ უტყუარ ისტორიულ მასალებს იმის თაობაზე, რომ ერთიანი საქართველოს ისტორია ნამდვილად კოლხეთიდან იწყება”**. სწორედ ამგვარ

უჯიშო გადამთიელებს და ვაი-მეცნიერებს ებრძვის, სპეციალურად მიჩქმალული ისტორიული ფაქტების გამოშინებებით, ღვაწლმოსილი მეცნიერ-ისტორიკოსი კლიმენტი შელია. ამ ამგვარი ადამიანის სიცოცხლის თითოეული დღე სამშობლოსადმი უანგარო მსახურების კლასიკური ნიმუში გახლავთ, რაც მისაბამ მაგალითად უნდა იქცეს მომავალი თაობებისადმი.

ხანგრძლივი სიცოცხლე და ჯანმრთელობა ვუსურვოთ ბატონ კლიმენტი შელიას, რათა მან ისტორიულ თემებზე შექმნილი ახალი ნაწარმოებებით გაახაროს ჭკეშიარტებას დახარბებული ქართველი მკითხველი.

რ. ჯალაღანი



ხათუნა კალმახელიძე – ჩემთან დაკავშირებით ბევრი ცილისწამება ბავრცელდა

(ცოცხი გახსოვდეს მუდამ, კალმახელიძე, ცოცხი!)

თანამდებობიდან გაბუნძულების შემდეგ საქართველოს სახელმწიფოებრივი და პრობაციის ყოფილი მინისტრი ხათუნა კალმახელიძე სწორად აცხადებდა, რომ მასთან დაკავშირებით ბევრი ცილისწამება გავრცელდა, რაც მისთვის – როგორც მინისტრისთვის, ხელისშემშლელი იყო.

“მადიან მტკივნეული ამბები გავრცელდა. უამრავ ცილისწამებას ჰქონდა ადგილი უშუალოდ ჩემთან მიმართებაში. იწვევებოდა ბევრი რამ – ჩემთვის და არა ოჯახისთვის მიუღებელი. მე, როგორც მინისტრი, ეს მადიან მიწილია ხელს, რადგან უამრავ პრობლემას მახვევდა თავს”, – ამჯერადაც **“გულისტკივილით”** განუცხადა ჟურნალისტებს ხათუნა კალმახელიძემ, მთავარი პროკურატურიდან გამოსვლის შემდეგ.

ყოფილმა მინისტრმა რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ის, რაც ციხეებთან დაკავშირებით გამოვიწინდა, მისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია და დაინტერესებულია, ხელი შეუწყოს გამოძიებას. საინტერესოა, რომ სასჯულადსრულებისა და პრობაციის მინისტრობისას მის სისტემაში ჩადენილი მხეცობები **“მტკივნეული”** იყო მხოლოდ წამებაგამოვლილ პატიმრებისათვის, და არა კალმახელიძისათვის, რომელიც, როგორც ირკვევა, ქვეყნის **“მთავარ ინკვიზიტორ”** მიხილ სააკაშვილთან ერთად სიამოვნებით უცქერდნენ საშინელ კინოკადრებს ამ პრეზიდენტად წოდებული არარაობის კაბინეტში!

მისივე თქმით, მინისტრობის განმავლობაში მთელი ძალიან ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი გაეკეთებინა პენიტენციური სისტემისთვის (ამ არაქალს, ალბათ, პატიმრის უკანატანში ცოცხის უფრო ღრმად შეყვანა აქვს მხედველობაში). კალმახელიძე აცხადებს, რომ ის არასდროს იყო გულგრილი სისტემაში არსებული მდგომარეობის მიმართ, რაც გატარებულ რეფორმებში გამოიხატებოდა.

“გავატარე ისეთი რეფორმები, როგორცაა გრძელვადიანი პაემანი. ეს საშუალებას აძლევდა პატიმარს 24-საათის განმავლობაში, წელიწადში რამდენჯერმე ყოფილიყო ოჯახის წევრებთან ერთად. მალე თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება გაიხსნება, რომელიც თავიდან ბოლომდე ჩემს მიერ გაკეთებული პროექტია. პრაქტიკულად თავდაყირა დავყენეთ ჯანდაცვის სისტემა, რადგან რეალურად არაფერი არსებობდა. საუბარი იყო ისეთი სისტემის გამოჯანსაღებაზე, რომელიც აბსოლუტურად დაავადებული იყო. მსურდა სისტემისთვის შემემატა ის სტანდარტები, რაც მას ადამიანურობას შემატებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველამ ვიხილეთ ის, რაც ვნახეთ. სამწუხაროდ, ჩემი ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა”, – განუცხადა ჟურნალისტებს ხათუნა კალმახელიძემ.

მთავარმა პროკურატურამ კალმახელიძე რამდენიმე დღის წინ მოწმის სტატუსით დაიბარა და დაკითხა. საქმე პატიმართა წამებას და ციხეებში არაადამიანური მოპყრობას ეხება. კალმახელიძე კი ისეთი უმანკო სახით გვესაუბრება, თითქოს მაგის **“ხალხმრავალ”** საპატიმროებში მსჯავრდებულებს ჩვენ ვაწამებდით და ცოცხებსაც ჩვენ ვუკეთებდით და არა მისი ზონდერები!

არა მგონია, რომ ციხეს ასცდეს ეს დაბერილტუნებიანი **“ჭობის კუკლა”**, რომლის სინდისზეც, გარდა პატიმართა არაადამიანური წამებისა, მრავალი დაღუპული სიცოცხლეცაა!

ცოცხა ციხელაშვილი



მზია ბარჯიას 70 წლისადმი მიძღვნილი საღამო

აგვისტოს დასაწყისში, აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარდა არაერთი თაობის დამფრთხანებლის, მხატვრული კითხვის ოსტატის, ამგვარი ქალბატონის მზია ბარჯიას 70 წლისადმი მიძღვნილი საღამო. ეკრანზე გაცოცხლებული ქარიშხლიანი და ლამაზი წარსული, გულწრფელი სიყვარული, პირთამდე საესე სურვილები, საოცარი სითბო იღვრებოდა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურისა და ძველთა დაცვის სამსახურის მიერ ორგანიზებულ საიუბილეო საღამოზე. ვისთვის ერთგული და საიმედო მეგობარი; თაობებისათვის – მოძღვარი და ლამაზი წარსული... ამიშვილებისა და მათი შთამომავლებისათვის – მზია დედა-მამიდა... ჩვენთვის კი... ერთიც, მეორეც, და... მხატვრული კითხვის ოსტატი, ამგვარი, ვაღმობილი ქალბატონი. საიუბილეო საღამოს რეჟისურისა და მუსიკალური გაფორმების ავტორი გახლდათ ირაკლი ადამია; საღამოს წამყვანები ჟურნალისტი – თეა გრიგოლია და მსახიობი ელგუჯა ნოდარძი.

ბოდება სანბრებთან

ამონარიდი უბის წიგნაკიდან, ნანახი და განცდილი ჩანარ-თებით

შეზინებისას კოდორის ტალღები უფრო იდუმალი და დაღინჯებული მგონია. სიწყნარე ეფინებოდა გარეშემოს და ადასტურებდა გაგონილ ჭეშმარიტებას: – წვიმისა და მდინარის ხმა ამჟღავნებს სულს! მაღლობა ღმერთს, რომ არსებობდა ასეთი რამეც ამ ქვეყნად!

მაგრამ არსებობდა სხვა რამეც, – მწარე ნაკვალევი ადამიანთა უგუნურებისა! იგი კოდორისა და ენგურის ხეობებში აღბეჭდა ჩემმა პაწაწკინებულ ფოტოაპარატმა, – დამწვარი აკენები გამო-კრიათ ნაპირთან ერთსაც და მეორესაც!!

მერე ეს ფოტოები ქართულ პრესაშიც გამოქვეყნდნენ ასეთი წარწერით:

„...მეორე მსოფლიო ომის ნაცვლად უბის თითქმის ყოველი ბილიკი დამივილია, – მინახავს ხეები, დღესაც რომ მოუშუშებელი ჭრილობით რომ დადავლიათ სხეული; დანგრეული, ნაცარ-ტყვად ქცეული ტაძრები თუ ქალაქები და სოფლები; მიტოვებული, გაგურანებული ეზო-კარი, ტყის მასივები, რომელთა მიჯ-ნაზე წარწერებია – „შესვლა აკრძალუ-ლია!“ – აკრძალულია, რადგან მათ სიღრმეში „გაუწმენდავ“ ჭაობთა საუფლოში, ვინ იცის, რომელ მტკაველზე დევს აუფოტოებელი, მიძინებული სიკვდილი, – ნაღმი და ჭურვი, ბოში „ფუ-გასური“ თუ ათასი სხვანაირი; ბე-ლორუსის ტყეებში თუ ბალტიისპირეთში, საპუნგორასთან თუ პირაპისთან შეგხვედრებოდა მიმოზნულ, ნადირთა მიერ გამოღრღნილ, დაუსაფლაველ თავის ქალასა და ძელებს ადამიანთა; ჭოგრიტს „ხელის-გულზე დაუდვია“ იაღბუზისა და დონ-დუზ-ორუნის უფსკრულიდან ნაპრალებში დღესაც ჩარჩენილი, ჩაყინული ცხედრები, მწვერვალთა ჯარი, რომ ადგათ მარადიულ საფლავის ქვედად; ზაფხულში – ნინბებით, ზამთარში მარხილით გადაძისეარავს „სიც-ოცხლის გზა“ – ლადოვის ტბიდან პე-ტრეს ქალაქს გარე სამყაროსთან, რომ აკავშირებდა, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჩემს მამულშიც გაჩნდებოდა „სიც-ოცხლის გზა“... კიდევ უფრო ვერ წარ-მოვიდგენდი კოდორისა და ენგურის ჭაღებში გამოიყულ, ნახანარალ აკენებს!!... მამათა ომს, ასე სასტიკსა და უმოწყალოს...“

* * *

...ახლა კი ოხანქუეს მთაზე ვდგავართ და ბაგრატ ბიძი სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე ალაგებს სულუგუნ-ჩახარშულ გუშინდელ ღობს, ჭვიშტარს, ჭყინტ ყველს, აჯიკას, აფხაზურას, შემწვარ ვარიას და ტიკტორაში სისხლივით მშ-ფოთვარე „ოჯალეუს“.

ქვემოთ აფხაზეთი გველოდება... ბაგრატ ბიძი ყათთან შეხსნა ტიკ-ტორას, მუხლებზე გადაიწვინა და ხის მურტა (ტოლჩა) შეავსო აჩაფებულმა ღვინომ.

– ეს წიწილი ისრამშია ამოვლებული... ვიცი, მოგეწონება!... – თქვა ბაგრატ ბიძიმ, ტბაკად შემწვარი დედალს ბარკალი ააგლოჯა და ღვინით სავსე, მურტასთან ერთად მომაწოდა.

ბაღლობა გამახსენდა, – დესპინე ბიცო-ლამ იცოდა ამგვარად ქათმის შეკმაზვა და უპირველესად ბავშვებს ჩამოგვი-რიგებდა საუკეთესო ნაჭრებს.

– კი, მომეწონება... დესპინე ბიცოლას ან ცაბუ დედას შემწვარია, ალბათ... გემრიელი იქნება!

საღვაც, ქვემოთ, გრგვინვა გაისმა და მი-წისძვრის მსგავსმა ბიძგმა შეარყია მთები...

დიდხანს ვისხედით ასე, ოხანქუეს მთის ვულკანური ჭის უფსკრულის პირას, „აღვდს“ რომ ეძახიან აფხაზები და მგერლები. ბაგრატ ბიძიმ, ოჯალეუსით სავსე მურტაში ჭვიშტარის ნატეხი ჩააწო და მე პირველად ენახე მისი აცრემლე-ბული თვალები!... არაფერი უთქვამს. არც მე მიკითხავს რამე, მიხვდი, თვითონ დაარღვევა სიწყნეს, მაშინ გადმოღვრიდა

კაეშანს, როცა საჭიროდ ჩათვლიდა! – ჰე, დაუფვეთ, ახლა, დაღმართს!... – განზე დატოვა ბაგრატ ბიძიმ მთავარი სათქმელი და სუფრის ალაგებას შეუდგა.

მზე ზენიტზე იდგა. შორს მშვიდად თვლემდა ლურჯ სივრცედ დაღვრილი შავი ზღვა. ცისკობულთან ახლოს, მთის მცირე ვერხეზე, სულგაკმენდილი მიუყ-უულიყო ბაგრატ ბიძის სოფელი, აქა-იქ, ნაოღარზე დარჩენილი ბუხრის სვეტებით რომ ადარდიანებდნენ ქვეყანას.

შეატყვევ, დღეს იქ არ შევივლიდით ჩვენ...

* * *

...გალიდან სოხუმისკენ რომ მიდიხარ, ოჩამჩირის გასასვლელთან რკინიგზას საავტომობილო ტრასა ჰკვეთდა. საშინელი ამბავი მოხდა აქ 88-ში თუ 89-ში, ცოდვის ბორბალი დატრიალდა, ნამდვილი, – სატირალზე მიმავალი თუ სატირალიდან მომავალი ხალხით სავსე სატირითო მანქანას მატარებელი დაეჯახა და მგზავრთაგან უმეტესობა რკინიგზის ჯიხურს მიაჭყლიტა. 17 ადამიანი დასახი-ჩრდა და დაიღუპა მაშინ, და ბიჭვინთაში, სანათესაოში მიმავალი, მეც შევეწვარი ამ უბედურებას! სულ რამდენიმე წუთში გაივსო იქაურთა სასწრაფო დახმარების მანქანებით, – აფხაზეთის ყველა რაიონის მედიკებთან ერთად წალენჯიხელი, ზუგ-დიდელი, ხობელი ექიმებიც დასტრი-ალენდნენ თავს დაჭრილ-დასახინრებულ ცოცხლად დარჩენილებს, აპატიონებდნენ ცხედრებს...

ჭირი იყო და, ერთი ჰქონდათ, ღხინი იყო და, ერთი ჰქონდათ აფხაზებსა და ქართველებს მუღამ!

მერე, არაყის აღუდგენია აქ რკინიგზის ჯიხური. ეს ნანგრევი გაფრთხილებად იდგეს ასე! – უთქვამს ვიდაცას და ასე დაუტოვებიათ. თუმცა, წლების შემდეგ, საუბედუროდ, მატარებელმა საერთოდ მი-ატოვა ამ გზაზე სიარული...

...თეთრ აბრაშს ფეხით მოუძღოდა შაოსანი მხედარი. ბეჭებამდე ჩამოძონ-ძოდა თმები და უღალი წვერი უფარავდა გულ-მკერდს.

– ე, სპირდო მოდის, აგრბა, საცოდავი!... – თქვა ბაგრატ ბიძიმ და ფაფანაკი მოხ-ადა. ვიდექით და ჩამოქვეითებული მხედრის მოახლოებას ველოდებოდით.

– შენ რომ ამბობ იმ დღეს, აქ ქალ-იშვილი დაეღუპა უბედურს... კვირბაღზე ქორწილი ჰქონდათ დანიშნული... ან-გელოხს ჰგავდა, საცოდავი, მარი... ცხრაბ-ეტისაც არ იყო ჯერ ისევ... ე, მაღლა, სახლი რომ დგას, ახლა, გავერანებულნი, იქ ცხოვრობდნენ აგრბები... შავი მარმაში ჩამოაფარა სპირდომ ოდას მაშინ და არც არასდროს ჩამოუხსნია იგი მერე... უბედურება ერთხელ, რომ დაქნევა სადმე, ადვილად არ შორდება იმ ადგილს... სულ მალე მეუღლეც დაეღუპა სპირდოს, ქალ-იშვილი მწუხარებას გადაჰყა, საცოდავი... 94-ში სპირდოს ორივე ვაჟიც შეიწირა ომმა... თუ ომი ერქვა ამას!... მას მერე დადის ეს უბედური, ასე შარა-შარა, და თუ ვინმეს გამოელაპარაკა, ჩემი შვილები ხომ არ გინახავთო, ეკითხება, თუ არადა, ხმას არ იღებს... რისი სული უდგას ნეტავი?!

მაღლა, გორაკზე, ერთ დროს ციტ-რუსებითა და მავროლით მოფარდაგე-ბულ ეზო-კარს, ერთგული გუშაგით დარაჯობდა გავერანებული ოდა და, ახლა უკვე, ოთხ ზოლად ჩამოშლილი შავი მარ-მაშით აპირქუშებდა დედამიწას.

სპირდომ უსიტყვოდ ჩაგვიარა. თეთრი აბრაშის უნაგირ-მოსართავეებს გახუნებ-ული თაღის ესუღრა და ცხოველის თვალ-უბლებიდან და გვერდებიდან აქა-იქ გამომკრთალ შინდისფერ დაქებსაც გადასდებოდა მისი ფერი.

ზღვა იყო ლურჯი და მზე თაკარა, მა-გრამ გარემოსაც თაღის დასდებოდა მაინც!... ...ტამიშის ნახიდარზე გადებული ბოგის იქით შემორჩენილი მოსაცდელი ფარდულ-იდან აფხაზთა უბეველესი მფლოდიები ის-მოდა:

„ვოისარაიდა, სი ვარაიდა, ვო, რაიდა, ვოისა რაიდა...“ – ამ მისამღერში ჯერ

ისევ ჩაიკრულ რომელიღაც ღმერთს მშვი-ლობასა და წყალობას შესთხოვდნენ ნაქიფარი აფხაზები. მერე მეგრულმა კე-ნესამ აანქამა ნაომარი მიწა:

„პოი, შური, საყვარელი, რინა მუში მა-მარდა რე, რინაში ნება ქორდასნი, ქიანა მუში მა-ფართარე!...“

„პოი, სულო, საყვარელი, ყოფნა რაოდენ მაღლია, ყოფნის ნებას რომ გვაძლევდნენ, მიწა რამხელად ფართია!...“

ძველებურად მომინდა მათთან ერთად შემოძახილი, მაგრამ... ოდესღაც კოლმეურ-ნეობის ნაყანარზე გაკვალული ბილიკით თავი ავარიდეთ ნაქიფართა სიმფრალეს.

– ეშმაკს არ სძინავს, ბაბა!... ვინ იცის, ვის როდის გაახსენებს თავს გადატანილი უბედურება!... – თქვა ბაგრატ ბიძიმ.

...ტამიშის ნაპირთან სასტიკზე უს-ასტიკესი იყო ბროლოები. ორივე მხარეს უმოწყალოდ დაიხოცნენ ბიჭები და ნა-სისხლარ მიწაზე ახლა ჩონგურის ჰან-გივით გადმოღვრილიყო სევდა...

* * *

კელასურის ხილთან, რომელიღაც საამქროს თუ მალაზისის შენობა იდგა, რაც თავი მახსოვს. ახლა, ათასში ერთხელ გაივლიან ავტომობილები ამ ხილზე. შენო-ბის შემორჩენილ კედელზე კი ვიდაცას საგულდაგულოდ უცდია ვიდაცისავე მი-ნაწერი ტექსტის წაშლა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ამოუფხვკია იგი:

„...ო, აფხაზეთო ბეგრი კარგი მოყმის გამდელი, ამორბალი ხარ, მკერდმოჭრილი უსაქართველოდ!“

შოთა ნიშნიანობის გახლავთ ეს ლექსი და, ეტყობა, სამშობლოს უბედობით მასავით ცრემლად აღენიღმა აფხაზმა თუ ქართველმა მიაწერა იგი, ამ უკაცრიელ კედელზე. ვიდექი და გულში ვიმეორებდი იმავე ლექსის ცალკეულ ფრაზებს, ერთობ საოცარი სითბოთი, რომ დაუწერია მის ავ-ტორს:

„...ქორი წიწილას აფხაზეთში თუ იტაცებდა,

მპუ, მპუ, გვიყვირია სამეგრელოდან...“

„...და მორღუ აქეთ, თუ ოდესმე დაამ-ცხიკებდა,

– ხეიბას სიცოცხლე! – ეძახოდნენ აფხ-აზეთიდან...“

„...ერთი მამალი ადვიტებდა ოდიშაფხ-აზეთს...“

ბაგრატ ბიძი ხილის თავთან გადმოგდე-ბულ ლოდზე იჯდა და ამ ხნის მანძილზე პირველად, თუთუნს აბოლებდა. გამიკვირდა!

– თქვენ ეწვეით ბიძი?!

– კი, პო, დარდი რომ მომწვევა, მაშინ ვიცი... ეს სამი დღეა შენთან ვარ და არ მომდომებია, გუდა! ახლა კი, ამ ნაწერს რომ კითხულობდი შევაშნიე, შენც შეგეპარა ცრემლი, რაღაც!... – არა-მეთქი, ვერ ვუთხარი. ტყუილს მაინც მიმიხვებოდა ბაგრატ ბიძი, არადა, ვინ იცის, რამდენი მირბენია აქ ჩემს აფხაზ მშობილებთან ერთად! ერთხელ იყო, და თავი გამოვიდე, – კელასურის ტალღებიდან შეცვურავ შავ ზღვაში და ასე, ცურვა-ცურვით ამოვალ „დოსკურიასთან“ მეთქი. კინაღამ გა-დავყვევი ამ ახირებას! კოტე რომ არ ყოფილიყო, ოხგანი, ახლა ვერ ვიდგებოდი კოდორის ხილთან. თუმცა, ესეც არის, აფხ-აზთა და ქართველთა გახლენასაც ვერ მოვესწრებოდი...

შუადღემდე დავეხეტებოდით მე და ბაგრატ ბიძი სოხუმის ქუჩებში. კიროვის ქუჩის ერთ-ერთ სახლთან ვიდექით ერთხ-ანს. ამ ეზო-კარში გავატარე ჩემი ბავშვობა და ტკბილ-მწარე მოგონებები... უკვე „სხვა ხალხის ისმობა აქ ჭრია-მული!“ მთავრობის სახლის მოედანზე იუზა უბილაგა გავისხენეთ, ჩემი თანაკლასელი და მეგობარი. უკანასკნელად აქ შევხვდი აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და ახლაც ყურში მამესმის მისი წუხილი:

– „იცოდე, ისე მიდის საქმე, რომ, თუ დროზე არ მიხედა ცენტრალურმა მთავრობამ, ცუდი საქმე მოხდება აფხ-აზეთში, მშობილო... ბეგრი ვინმე ამღვრეს წყალს, მაგრამ აფხაზი და ქართველი

ხალხის სიბრძნისა მჯერა!...“ – სწორედ „იმ ცენტრალური მთავრობის“ ერთ-ერთ შეკრებაზე გაუსკდა გული ჩემს მეგობარს და დღემდე სანანებლად დამრჩენია ოჯახში მიპატიუებაზე უარი რომ ვუთხარი მაშინ...

...მორიგმა შეხვედრამ მის ოჯახთან, თბილისში მომიწია მოგვიანებით, – სატელევიზიო ნეკროლოგის მომზადება, მაინცდამაინც, მე დამავალა ხელმძღ-ვანელობა.

...ახლა კელასურის სასაფლაოსკენ მი-მავალი გზის აღმართს მიუყვებოდით მე და ბაგრატ ბიძი. იქ ჩემი დიდებული მასწავლებლის, ამბროსი ცხადაიას საფლავი მეუღლებოდა და, რახან, ამ „უგ-ზოობის“ ვამს ღმერთმა მარგუნა ასეთი საშუალება, კიდევ ერთხელ მიხდოდა პა-ტივი მიმეგო მისი სსოუნისათვის.

ო, რამხელა გამხდარიყო კელასურის სასაფლაო! კვირა დღე იყო და ძაძით მისილი დედეები, მამები, დები, ძმები, მეუღლეები, უბრალოდ მეგობრები და ნაც-ნობ-უცნობები მდუმარებით იდგნენ საფლავებთან და სიწყმე სუფევდა ირგვლივ. თეთრი, შავი და ნაცრისფერი ქვის ლოდებიდან ზოგან ორ-ორად, ზოგან სამ-სამად იმზირებოდნენ ჭაბუკთა სახ-ეები. ზოგს სამხედრო ფორმა ეცვა, ზოგს არა, მაგრამ დაბადებისა და გარდაც-ვალების თარიღები ამხედლდნენ ყვე-ლაფერს... ერთ-ერთ სტელაზე ახალდაქორწინებულები გამოესახა ქვის მთელეს.

...რუსული ტელევიზია აჩვენებდა იმ წლებში – ფრონტის ხაზიდან ორდღიანი შეგებულებით გამოდიოდნენ აფხაზი ბი-ჭები და სასწრაფოდ ქორწინდებოდნენ მანამდე ნაცნობ თუ უცნობ ქალწულებზე, ვითომ რა და, გვსოცავენ და ერის გადარჩენისათვის ვაკეთებთო ამას... ათი-ათასობით აყრილი და დახოცილი ქართველები კი, თითქოს, არ არსებობდ-ნენ!... „ობიექტური“ სააგიტაციო მანქანა აკეთებდა თავის „შავ საქმეს“. სამწუხაროდ, საქართველოს მასმედიაში ვერაფერი შესთავაზა საპირისპირო მსოფლიო ტელემაყურებლებსა და მე-ითხველებს. მაშინ კი, როდესაც ღვინგრადის ტელეკურნალისტებს, რო-გორღაც, ხელი შეუწვევ და ცეცხლ-წაკიდებულ აფხაზეთში და საქართველოში რეპორტაჟი მოვაშხადე-ბინე, „პოლიტიკურ ბეცობაში“ დამდეს ბრალი! უგუნურთათვის საკუთარი უგუნურობა იყო „ჭეშმარიტება“ მხოლოდ... მერე რა რომ, ძმები ვხოცავდით ერთ-მანეთს? მერე რა, რომ აფხაზეთს, თბილისში და სამეგრელოში დაღვრილი სისხლი უძღვოდა წინ?!

...საფლავთან ორნი იდგნენ. ერთი და-ბალი და ჯმუხი, მეორე ბრეც და მაღალი. მას, ბაგრატ ბიძის მსგავსად, გვერდზე შეკრული შავი ახალუხი ეცვა და ნიავს რომ არ დაებურა, საფარს უფარებდა ანთუ-ბულ სანთელს.

– ...ქორწილის მეორე დღეს ისევ ფრონტზე წავიდა... კვირისთავზე პატარძალმა ჩააკითხა, მოვიანახულებო, უთქვამს... ორივე იქ დაიღუპა... ეს ძმია იმათ... ძმისა და რძლის დაღუპვით გაგი-უებულმა, ოცდაათამდე ვიდაცები ჩამოყ-ვანა საიდანთაც და ამბობენ, გული მოიხაო... – თქვა ბაგრატ ბიძიმ, – მივესამძიმროთ, აუცილებლად... სხ-ვაგვარად არ გამოვა... სამძიმარზეც ვერ ჩამოვედით მაშინ... კარგი კაცი იყო მა-მამისი, საწყალი... ჯვარშიც ვართ ნამყოფი ერთად... ეჰ, ბაბაგე!!

ლაშის იყო და, საფლავის ქვას დაალო თავი „მადლმა“ და მადლი მოახსენა ბაგრატ ბიძის, სამძიმრისათვის.

„დაბალი“ ჩუმი იდგა და კუშტად გვათვალევდებდა მოსულებს.

– თქვენი სტუმარია, ალბათ, ბაგრატ ბიძი, ეს კაცი... ჩვენებურს არ ჰგავს... – ხმაში ფოლადი შეეპარა „მადლსაც“.

ზაურ ფიფია

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სამებროს ღირსეული შვილები

რუსეთ-იაპონიის ომში მონაწილეობა და ირკუტსკში დაბრუნება

გახარებულმა ჩემს მეგობრებს — კოტე ქობალიას, ივლიან ხაინდრავას, კოლია ნულუკიძეს, გიორგი მაგალიძეს, ფარნა გომუას, ნიკო ჩიჩუას, ჩიტაიას და სხვებს ვუამბე თავად ვიტგენშტეინის რაზმში ჩემი ჩარიცხვის შესახებ. ამ ამბავმა ისინიც ძლიერ გაახარა და ყველამ მომილოცა. რადგანაც იმხანად ხარბინში ბლომად იყო ქართველობა, ვიტგენშტეინმა ნებართვა სთხოვა მთავარსარდალ ლინევიჩს, ჩამოეყალიბებინა კავკასიელთა რაზმი. ლინევიჩმა დართო მას ამის ნება. ამავე დროს თვით მე-ფემ გასცა საგანგებო ბრძანება, ეს რაზმი ყოველგვარი საჭურველით მოემარაგებინათ. ვიტგენშტეინმა მე და კოლია ნულუკიძეს დაგვავალა შეგვეძინა საუკეთესო ცხენები. რამდენიმე დღეში შეგროვილ იქნა სამას ოცი კაცი. აქედან ორას ოთხმოცი — ქართველი, ორმოცი კი — ჩრდილო კავკასიის ოსები. ერინენ, აგრეთვე, სომხებიც. პირადად მე თავადმა ვიტგენშტეინმა მაჩუქა საუკეთესო ჯიშის ყაბარდოული ცხენი, თავის აღკაზმულობით და გაღიმებულმა მითხრა — აბა, შევექი, მინდა ვნახო, რანაირი მხედარი ხარო. ცხენოსნობაში მქონდა ჩემი თავის იმედი და შეჯდომისთანავე გავაჭენ-გამოვაჭენე. როცა დაგვბრუნდი, მხარზე ხელი დამკრა, შემაქო: ყოჩაღ, ჩემო გვანჯი, ღირსეული მხედარი ყოფილხარო. ჩემს ცხენს თავად ვიტგენშტეინის თავლაში უვლიდნენ მის ცხენებთან ერთად; ჩემთვის ნაჩუქარ ამ ცხენში ათასხუთასი მანეთი ჰქონდა გადახდილი.

მე და კოლია ნულუკიძეს, როგორც უკვე აღვნიშნე, რაზმისთვის ცხენების შეძენა დაგვავალა. ჩვენ შევარჩიეთ თორმეტი კარგი ვაჟ-კაცი, ერთი თარჯიმანი ავიყვანეთ, ჩინელი და საუკეთესო ცხენებით მონგოლეთისკენ გავეუდრეთ გზას. თვრამეტი-ცხრამეტი დღე ვიარეთ უდაბურ ადგილებში. საკვები ნაღებული გვქონდა, მაგრამ ნაწილს გზადაგზაც ვიძენდით. ვავიარეთ შვიდასი თუ რვაასი კილომეტრი და, როგორც იქნა, შევედით მონგოლეთის ტერიტორიაზე. ერთ მალღობთან შევისვენეთ. მივიხედე მარჯვნივ და გორაკის ძირას თვლი მოკარი ხის გრძელ ღარს, რომლითაც წმინდა წყალი მოჩუჩხუხებდა. მინდოდა გამეგო, საიდან მოდიოდა ეს წყალი და დაეინახე ჭაობი. იქვე ტლაპოში ინვა და უდარდელად იცოხნებოდა მონგოლური ურქო კამეჩბინის ვეება ჯოგი. ჩვენ გადმოვედით ცხენებიდან, მივედით წყაროსთან და ამ დროს, თითქოს სიზმარში აღმოვჩნდი, მომესმა ძველებური ტკბილი მეგრული სიმღერა „ოუ ნანა“.

ვიფიქრე, სმენა ხომ არ მატყუებს-მეთქი და იქეთ გავიხედე, საიდანაც სიმღერა მესმოდა. ვხედავ, ნიგვზის ხის ძირში დგას მშვენიერი მოხუცი კაცი, თოვლიანი თეთრი ნვერი მკერდზე დაფენია, კომბალი ჩაუბლუჯავს და ღლინებს. მონგოლური ტანისამოსი აცვია. მისკენ გავემართე და მივესალმე. მოხუცმა ხელი აღმართა, სიხარულისგან ცრემლები გადმოსცვივდა და მომეხვია. იგი წმინდა მეგრულად საპარაკობდა. ვინაობა გამოვკითხე და სამეგრელოდან აღმოჩნდა, გვარად ფენია. 1894 წელს ბათუმში კაცი შემოკვდომოდა. სახალინზე გაეგზავნათ კატორღაში, 1899 წელს ჩინეთის აჯანყებაში მიეღო მონაწილეობა. იქედან მონგოლეთში გამოქცეულიყო და თავად განთიმიროვთან შეეფარებინა თავი. დიდად გავახარა ამ კაცის გაცნობამ. გასაუბრების შემდეგ შემოგვთავაზა, წავალ ბატონთან და ვთხოვ, რომ მიგილოთ, როგორც ჩემი თანამემამულეები და ძმები, მინდა, თავისი თვლით ნახოს, თუ რა ხალხის შთამომავალი ვარო. ამაზე უარს ნუ მეტყვი, გვეხვეწებოდა. ჩვენ დავეთანხმეთ; იგი სწრაფად წავიდა და რამდენიმე საათში გახარებული დაბრუნდა. ყველანი წავიყვანა. ისევ რამდენიმე საათი და ჩვენ უკვე მონგოლი თავადის სტუმრები ვიყავით. იგი ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა, შავი ნვერი და ტიპიური მონგოლური სახე და თვლები ჰქონდა. აღმოსავლური თავაზიანობით მოგვეგება. იქვე ჰყავდა რუსული ენის მცოდნე თარჯიმანი. მათი ადათის მიხედვით, საპატიო სტუმრებს კვიცს უქლავენ, მაგრამ ჩვენი წეს-ჩვეულებების მცოდნე

ყოფილიყო და ბრძანება გასცა, ცხვრები დაეკლათ. გაანყვეს გრძელი მაგიდა. სარდაფიდან ამოატანინა შამპანური ღვინოები და გაიმართა სანაქებო ქეიფი.

ცნობილია, რომ მონგოლები ქოსები, ე.ი. უწვერულვამონი არიან. თვით განთიმიროვს და იქ მყოფთაგან კიდევ ხუთ კაცს ნამდვილი კავკასიური შავი ნვერ-ულვაში ჰქონდათ. მე თარჯიმნის პირით შევეკითხე მასპინძელს, რითი აიხსნებოდა ის გარემოება, რომ მასა და იმ ხუთ კაცს, სხვებისგან განსხვავებით ლამაზი ნვერ-ულვაში ამშვენებდათ. განთიმიროვს გაცინა და მითხრა — თქვენ ალბათ გაგონილი გექნებათ, რომ მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში ჩვენი იმპერია შიშის ზარს სცემდა მთელ მსოფლიოს და კავკასიაც ჩვენს ხელში იყო. მაშინ ჩვენს სახელოვან სარდლებს, ჩინგიზ-ხანსა და სხვებს იქედან ტყვედ მოჰყავდათ ლამაზი ქართველი მამაკაცები და ჩვენ მათი შთამომავლები ვართო. ცხადია, ამ ნათქვამმა დიდად განგვაკვივრა. მერე მან შეაქო მწყემსად მომსახურე ფენია და თქვა — ეს კაცი ჩემთან არის და იქნება, როცა მოკვდება, ჩვენი ადათის მიხედვით დაგვასფლავებო.

დილით ადგა თავადი განთიმიროვი, გამოაყვანინა მეჯინიბეს სამი საუკეთესო ცხენი და საჩუქრად გადმოგვცა. დიდი მადლობა გადავუხადეთ, დავემშვიდობეთ. ფენიამ ხუ-

ვადს, რომ პატივი ეცათ მისთვის და სწვეოდნენ. ვიტგენშტეინმა თავაზიანი მადლობა მოახსენა მოპატიჟეს და შეპირდა დანიშნულ დროზე გამოცხადება. ბიდა სექანია ამ მინას-ნარ გამიყოლია. ერთ ჩინურ სახლში მას ორი ოთახი ეკავა. ამ სახლის გვერდით მოენყო უზარმაზარი ფარდული. რამდენიმე საათი დასჭირდა ამ ვეება სეფაში ჩვენებური საუკეთესო სუფრის გაშლას. უხვად იყო კაზური და შამპანური ღვინოები, უამრავი ხორავი — შემწვარ-მომხარკული თუ მოხარმული ცხვარი, ბატკანი, საქონლის ხორცი და მრავალი სხვა. მთელი დღე დიდებულ ქეიფში გავატარეთ. თამადა იყო ყოფილი ოფიცერი ბებურ ბებურიშვილი. სუფრას სამასამდე კაცი უხსდა. შეისვა მრავალი საუკეთესო სადღეგრძელო. ყველანი დიდად კმაყოფილნი დავრჩით. ბიდა სექანია იშვიათი პატივი გვცა.

დილით, როგორც დაგეგმილი გვქონდა, საომარი მოქმედების ველისკენ გავემგზავრეთ. საღამოს ქალაქ ხერსუმი ჩავედით. მე გამოვცალკევე ოცი კაცი და ჩვენი ცხენებით ტბაზე წავედით. იქ ვაბანავეთ ცხენები და როცა უკან დავბრუნდით, შევნიშნე ასამდე ცხენოსანი, რომელთაც წინ მოუძლოდა ნითელამაპასებიანი მხედარი. ჩვენ წამოვედით. იმ რაზმის ერთ-ერთმა მხედარმა გზა გადაგვიჭრა, მოვიდა ჩვენთან და მოსალმების შემდეგ ვინაობა გვკითხა. ჩვენ როცა ვუპასუხეთ, მან გვითხრა, რომ იგი

გან ვიცოდით სამეული ომში ერთხელაც არ დაჭრილა; ადრე, მის მიერვე ატეხილ მრავალ ჩხუბსა და აყალ-მაყალში იყო დაჩხილ-დასახიჩრებული, როგორც დიდი ჭინჭყლი და არეულობის მოყვარული.

ამის შემდეგ კუროპატკინი მე დამაკვირდა იმ დროს, როცა ცხენზე ვჯდებოდი. ვიტგენშტეინმა ეს რომ შეამჩნია, მიბრძანა: აბა, კობხად გაატარ-გამოატარე შენი ყაბარდოული! მე მაშინვე მოედანზე გავიჭერი და გულადად გავაქროლ-გამოვქროლე ცხენი. ამის დანახვაზე კმაყოფილმა კუროპატკინმა მარაღაც გადაუწერწულა ვიტგენშტეინს და ცოტა ხნით წავიდა. შემდეგ ვიტგენშტეინმა გამიმხილა, რომ კუროპატკინმა დაავალა, განსაკუთრებული ყურადღება მოექცია ჩემთვის, რადგანაც ძალიან მოვწონებოდი. მერე ისიც დაატანა — შენ კარგად იყავი და როცა რაიმე შემთხვევა მომეცემა, კუროპატკინთან ჯილდოზე პირველ რიგში წარგადგენო.

მალე კუროპატკინი ისევ გამოვიდა. გამოიტანა მეოთხე ხარისხის გიორგის ჯვარი და სამეულ იშხნელი თავისი ხელით დააბნია გულზე. ამ ამბავმა ყველანი გაგვახარა და გაგვახალისა. გამოვიდა სოკრატ იოსელიანი და მთელი ჩვენი პარტიზანული რაზმის სახელით მთავარსარდალს მხურვალე მადლობა გადაუხადა და აღუთქვა, რომ სამშობლოს დასაცავად თავდადებულად ვიბრძოლებდით.

იმავე საღამოს მთავარსარდალმა სადილი გამართა ჩვენს პატივცაცემად და ბრძანება გასცა, ყველას თავისი ეროვნული ზნე-ჩვეულების შესაფერისად ემხიარულა, მოეხინა, მოენყო დიდი ზეიმი. მოწვეული ჰყავდათ საუკეთესო დამკრეველები და შესანიშნავი მოცეკვავეები. თვით კუროპატკინიც ძალზე კმაყოფილი დარჩა.

მეორე დილით მთავარსარდალმა მოგვცა ოცდაოთხი კაცი, ზაბაისკალიეს კაზაკები და ერთი მეგზური ოფიცერი, გზა დაგვილოცა. ერთ-ერთ დაბაში როცა შევედით, მზვერავისგან შევიტყვეთ, რომ სპირტის ქარხნის ტერიტორიასა და შენობაში იაპონელთა რაზმი იყო დაბანაკებული. ჩვენ ალყა შემოვარტყით ქარხანას. ამ დროს გამოვიდნენ ჩინელი ჯარისკაცები და გვანიშნეს, რომ იაპონელები უკვე წასული არიანო. ჩვენ ეს არ დავიჯერეთ. გამოვიდა ჩვენი რაზმელი, საარაკოდ გაბმედავი ვაჟ-კაცი პაჭუ ახვლედიანი და ელვის სისწრაფით, კატასავით მოქნილად გადაევლო გალავანს, ქარხნის ეზოში ჩახტა. სწრაფად გავვილო კარები და დავრწმუნდით, რომ იაპონელები მართლაც წასულიყვნენ. ამის შემდეგ, კიდევ განვაგრძეთ გზა და გავიინეთ ღრმა ზურგისკენ. გამოვყავით ცამეტი კაცი, არიერგარდი და უეცრად მთის კალთაზე წავანყდით იაპონელთა ჯგუფს. გაჩაღდა გააფთრებული სროლა. მე ცხენზე ვზივარ და ისე ვისვრი. ვიტგენშტეინმა მომამახა: ჩიქოვანო, ჩამოდი ცხენიდან და საფარიდან ისროლეო. მე დავამშვიდე: ნუ გეშინიათ, ჩემო ბატონო, ისეთი სიზმარი მაქვს ნანახი, იაპონელების ნასროლი ვერც ერთი ტყვია ვერაფერს მავნებს-მეთქი. სროლამ რამდენიმე საათს გასტანა. ჩვენს მხარეზე მსხვერპლი არ ყოფილა. იაპონელებს დაუჭერით რამდენიმე მეომარი, რომლებიც გამოვიყვანეთ ბრძოლის ველიდან და აღმოუჩინეს დახმარება.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ცხოვრება ბვანჯი ჩიქოვანისა

თი-ექვსი საათის სავალზე გამოგვაცილა და გვიჩინა, აქ რომ ცხენებში ფული გადაიხადოთ, ეს არავითარი გონიერება არ იქნებაო. აქ მინდორშია გაშვებული ასეულობით ცხენები და ამისთანა ვაჟკაცებს შეგიძლიათ, რამდენიც გნებავთ გაირეკოთო. ესა სთქვა და მიგვითითა ადგილებზე, საიდანაც შევედოთ ცხენების გამოჩეკვა. ჩვენ სიყვარულითა და მაღლიერებით გამოვემშვიდობეთ ფენიას. მან ცხარე ცრემლები ღვარა და გვითხრა — მე არ მეღირსება ჩემი სამშობლოს მინაში დამარხვა, თქვენ კი გისურვებთ შინ მშვიდობით დაბრუნებასო. ჩვენ ას ოცამდე კარგი ცხენი შევაგროვეთ, მაგრამ ხარბინამდე ჩამოვიყვანეთ ოთხმოცი ცხენი; ზოგი გზაში გავგვეცა, ზოგიც ავად გახდა და დაეტოვეთ. ვიტგენშტეინს ძალიან გაუხარდა ჩვენი ასეთი სახელოვნად დაბრუნება. როდესაც ყველაფერი მონესრიგდა და მომზადდა, ვიტგენშტეინმა გასცა ბრძანება და მისი სარდლობით ეს სამასოცკაციანი კავკასიური ცხენოსანთა რაზმი ჩინეთისკენ გავემგზავრეთ. მივედით უკანასკნელ სადგურ გუნჯულნამდე. იქ ერთ კვირამდე შევჩერდით. ვიტგენშტეინმა რაზმის ნევრთა ნერთა გამოჩენილ კავალერისტს, ოფიცერ ზალევისკის მიახლო. იგი მართლაც საუცხოოდ წვრთნიდა რაზმელებს და ყველა კარგად დაეუფლა ცხენზე ჯდომას, ხმალ-ხანჯლისა და იარაღის ხმარებას. ჩემი ოსტატობით მეტად კმაყოფილი იყო ვიტგენშტეინი. მას პირად დაცვაში ჰყავდა ოცდაოთხი კაცისგან შემდგარი ოცეული და მეც რაზმში ვირიცხებოდი.

ერთ დღეს, ამხანაგებთან ვდგევარ და ვსაუბრობთ. უცებ ვხედავ, ლამაზ ყაბარდოულ ცხენზე შემჯდარი ახოვანი ვაჟკაცი მიახლოვდება, თან ოთხი ჩინელი ჯარისკაცი მოჰყვება. გამისწორდა და გვარი მკითხა. ვუთხარი ვინც ვიყავი. იგი ცხენიდან გადმოხტა და გადაემხვია. მითხრა, მე ბიდა სექანია ვარო. მეც და თითქმის ყველა ქართველს გავგონილი გვქონდა ბიდა სექანის ამბავი. დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი, მასზე ხალხური ლექსიც იყო გამოთქმული. იგი ჯერ კიდევ ჩემს დაპატიმრებამდე გადასახლა მეფის მთავრობამ. მითხრა, რომ ყველაფერი ჰქონდა გაგებული ჩემს შესახებ, ამჟამად იმ რაიონში ცხოვრობს და გადამწყვეტილი აქვს დაპატიჟოს თავადი ვიტგენშტეინი თავის შტაბთან და პარტიზანულ რაზმთან ერთად. მითხრა, გავყოლოდი ვიტგენშტეინთან. გაბედულად სთხოვა თა-

არის ადიუტანტი რუსეთის არმიის მთავარსარდალის გენერალ კუროპატკინისა, მთავარსარდალი იქ იმყოფება და ჰოსპიტლებს ათვალერებსო. რაზმში როცა მივედი, ვიტგენშტეინს ამის შესახებ მოვასხენე. საღამოს ის ოფიცერი თავად მოვიდა ვიტგენშტეინთან და მოახსენა, არმიის მთავარსარდალი კუროპატკინი გთხოვთ, თქვენი რაზმით მის რეზიდენციაში ეახლოთო. ვიტგენშტეინმა დიდი მადლობა გადაუხადა და ბრძანება გასცა, მოემზადებულყავით. რამდენიმე წუთში ჩვენი ცხენებით წასასვლელად მზად ვიყავით. ვიტგენშტეინი წინ წავვიძღვა და სულ მალე კუროპატკინის რეზიდენციაში გამოვეცხადდით. ჩოხებში გამოწყობილი, ხმალ-ხანჯლებით მოკაზმული სამასოცი ცხენოსანი მწყობრში რომ ჩავედით და გავმწკრივდით, გამოვიდა მთავარსარდალი და საღამო მოგვცა. მას მისალამა ვიტგენშტეინი და შემდეგ კუროპატკინი ჩამოჰყვა მწკრივს, სათითაოდ გვეკითხებოდა ყველას სახელს, გვარს, ეროვნებას.

ჩვენს რაზმში იყო ერთი უცნაური იმერელი, სამეულ იშხნელი, მეტად თავისებური შესახედაობის კაცი. ასე, ორმოცდახუთი წლის იქნებოდა. ჰქონდა გასაოცრად დიდი ულვაში, ყურებამდე უწევდა, არწივისებური ცხვირი, მსხვილი წარბები და ფართო, მოუსვენარი, დაცეცებული თვლები. მას განსაკუთრებით მიაქცია ყურადღება კუროპატკინმა და თავის ერთ-ერთ ადიუტანტს, სომეხ აგანოსკის უბრძანა, გამოეკითხა მისი წარმომავლობა. ადიუტანტმა ცოტა ხანში მოახსენა: Он имеретинец — Ишхнели.

იშხნელს სასწაულად აჭრელებული ტყავის ჩანთა ეკიდა. კუროპატკინი მიუახლოვდა და ჰკითხა, მაგ ჩანთაში რა გაქვსო. იშხნელმა ომხიანად უპასუხა, რომ ძალიან უყვარს მისუფთავე და ჩანთაში საპარსი მოწყობილობა ჰქონდა. ისიც მოაყოლა, რომ თავდაუზოგავად იბრძვის სამშობლოს დასაცავად, მონაწილეობდა კორეის პარტიზანულ ომში გენერალ მადრიდოვთან. მოიშვლია ქუდი და მთავარსარდალს აჩვენა გადაპარსული თავი, რომელზედაც რამდენიმე ღრმა ჭრილობა ჰქონდა შეხორცებული. მიუხედავად ასეთი თავადებისა, — რიხით განუცხადა კუროპატკინს, — არავითარი ჯილდო და დაფასება არ მერგო. ჩვენ ძლივს შევიკავეთ სიცილი, რად-



რაულ ჩილაჩავა – მუღამ სამუოხლოს დანატრეპული პოეტი



რაულ ჩილაჩავა დაიბადა 1948 წლის 15 მაისს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭიათურაში, კეპის ოჯახში. იზრდებოდა იმავე რაიონის სოფელ ძეგლ აბასთუმანში, სადაც 1965 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა. 1965-1970 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტი. 1967 წელს მიაღწინეს უკრაინული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად. 1970 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და სტაჟირებაც. მას შემდეგ ცხოვრობს და მუშაობს კიევიში, სამშობლოდან ხანგრძლივად შორს ყოფნას კი განიხილავს, როგორც **“უგადო მივლინებას”**, სადაც დღემდე მშობლიური უნივერსიტეტის დაგალებას ასრულებს.

პირველი ლექსი გამოაქვეყნა ნახევარი საუკუნის წინ, ზუგდიდის რაიონულ გაზეთ **“მებრძოლში”**, ლექსების პირველი წიგნი კი გამოიცა 1973 წელს. რაულის შემოქმედებით და სამეცნიერო ინტერესების სფეროში შემოღობის პოეზია, მხატვრული თარგმანი, ესეისტიკა, პუბლიცისტიკა, კომპარატივისტიკა, ლიტერატურის თეორია, ქართულ-უკრაინულ-ლატვიური ურთიერთობანი. წერს და თარგმნის სამ ენაზე – ქართულად, უკრაინულად, რუსულად. უკრაინულად და რუსულად თარგმნა დაეით გურამიშვილის ლექსები, უკრაინულად – ილია ჭავჭავაძის, აკაკი ვერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, კონსტანტინე გამსახურდიასა და სხვა ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებები, ქართულად – ტარას შევჩენკო, ივან ფრანკო, ლესია უკრაინკა, პავლო ტინინა, მიკოლა ბაჟანი და კიდევ სხვა ასზე მეტი უკრაინული პოეტი. მისი პირადი ინიციატივით, წინასიტყვაობა-ბიბლიოტიკეობით, კომენტარებითა და რედაქტორობით კიევიში მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოიცა ქართული ხალხური, კლასიკური და თანამედროვე პოეზიის სექლტანიანი ანთოლოგია **“ოქროს ვენახი”, “ქართული მოთხრობის ანთოლოგია”, “ქართული ხალხური ზღაპრები, ანდაზები და სიტყვა-თქმები”, “ყვეხისტყაოსანი”, “დავითიანი.”** რაულის მიერ უკრაინულად თარგმნილი გალაკტიონის ლირიკა კი დიდი ხანია, რაც უკრაინულმა კრიტიკამ სანიმუშოდ აღიარა. რაულ ჩილაჩავას საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, რომლებიც დაცულ იქნა შესაბამისად რუსულად და უკრაინულად, ეძღვნება **“ყვეხისტყაოსნის”, “დავითიანისა”** და ქართული კლასიკის სხვა ნიმუშთა თარგმნის პრობლემებს, ქართულ-უკრაინულ-რუსულ ლიტერატურულ ურთიერთობებს. სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ცალკე წიგნად გამოვიდა კიევიში, აკადემიკოსმა ლეონიდ ნოვიჩენკომ თარგმანის შესახებ, რომელსაც შემავალი მკვლევარები გვერდს ვერ აუგლიან. ამჟამად არის ასზე მეტი გამოცემის ავტორი. ქართველმა და უკრაინელმა მკითხველმა მიიღო რაულის რამდენიმე წიგნი: **“შნო”, “ასი ლექსი”, “პესიმისტის ჩანაწერები ანუ ბავშვობაში დაბრუნება”, “ლაგრენტი ბერიას ვაჟი მოვითხრობს” (ოთხივე გამოცემლობა “ინტელექტი”), “ამბასადორი”, “უელი ვარსკვლავის შუქი” (ლექსები ორ ტომად უკრაინულ ენაზე), “ადიდებს კობზარს საქართველო” (ქართული მწერლები შევჩენკოს შესახებ, თარგმანი).** ამჟამად გამოსაცემად მზადდება რაულის მიერ თარგმნილი უკრაინული და ლატვიური პოეზიის ანთოლოგია ერთ ტომად, რომელშიც 130-ზე მეტი ავტორის ნაწარმოებია შესული.

რაულის შრომითი ბიოგრაფია ოთხ ათეულ წელსადაც მეტს მოიცავს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1970 წელს, რედაქტორად მიიწვიეს უკრაინული საბჭოთა ენციკლოპედიის დირექტორმა მიკოლა ბაჟანამ; მერე მუშაობდა უკრაინულ პრესაში

ჟურნალისტად, კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექტორად, ხანგრძლივად იმყოფებოდა შემოქმედებით სამუშაოზე, 1992 წლიდან 2005 წლამდე იყო უკრაინის ეროვნებისა და მიგრაციის საქმეთა მინისტრის მოადგილე, პარალელურად უკრაინის დელეგაციის წამყვან უნივერსიტეტებში ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას, კიევის კულტურისა და ხელოვნების ხელმძღვანელ კადრთა სახელმწიფო აკადემიაში განაგებდა უკრაინული და მსოფლიო ლიტერატურის კათედრას, ხელმძღვანელობდა დავით გურამიშვილის სახელობის საქართველო-უკრაინის კულტურულ ურთიერთობათა საერთაშორისო ასოციაციას. 2005-2010 წლებში იყო უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიაში. ამჟამად კვლავ შემოქმედებით სამუშაოზე იმყოფება.

რაული არის საქართველოს, უკრაინის და ლატვიის მწერალთა ეროვნული კავშირების წევრი, მწერალთა და პუბლიცისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, უკრაინის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის წევრი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორი, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, გალაკტიონ ტაბიძის, მაქსიმ რილსკის, ვლადიმერ ვინიჩენკოს, ალექსანდრე ჩაკის, მავრიკ ვულფსონის სახელობის პრემიების ლაურეატი, ფრანც კაფკას სახელობის საერთაშორისო ოქროს მედლისა და ციციერონის სახელობის საერთაშორისო პრიზის მფლობელი; დაჯილდოებულია **“ღირსების ორდენით” (საქართველო), ორდენით “დამსახურებისათვის” (უკრაინა), “სამი ვარსკვლავის” ორდენით (ლატვია), უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა მემბრანე ნესტორის სახელობის ორდენით, წმინდა სტანისლავის სახელობის საერთაშორისო ორდენებით “კომანდორის ჯვარით” და “ოციცრის ჯვარით”, უკრაინის მინისტრთა კაბინეტის საპატიო სიგელით, უკრაინის უზენაესი რაიის საპატიო სიგელით “უკრაინელი ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის”, თბილისის მერიის სიგელითა და მედლით “ქართული კულტურის ამბადარი”, მიღებული აქვს სხვა ჯილდოებიც.**

შეუძღვე ია ჩილაჩავა, განათლებით ფილოლოგი და კულტუროლოგი, ლექციებს კითხულობს კიევის არქიტექტურისა და მშენებლობის ეროვნულ უნივერსიტეტში, ვაკეში მუშაობს რაული (1975) და თემური (1976) ჟურნალისტები არიან და მუშაობენ უკრაინის ტელევიზიის მსხუთე არხზე წამყვანებად. უფროსი ვაჟიშვილი გური (1969) დაიღუპა საავტომობილო კატასტროფაში. რაულს ჰყავს ერთი და და სამი ძმა, რომლებიც ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭიათურაში ცხოვრობენ. უმცროსი ძმა ოთარი ასევე საავტომობილო ავტოკატასტროფაში დაიღუპა 1991 წელს. მამა შალვა ჩილაჩავა გარდაიცვალა 1980 წელს, დედა ბაბუცა სახელმწიფო-ჩილაჩავა – 1999 წელს. გაზეთის ეს გვერდი ეთმობა ნაწევრებს რაულ ჩილაჩავას ლექსების ახალი, ჯერ გამოუცემელი კრებულიდან **“სხვენი”**

ნაწანდაბარი

თქვენ თუ იცოდით, ჯანდაბას იქით, და კიდევ იქით, გაღმა და გაღმა, გზა რომ არსებობს იქ ერთმა ბაღმა მე შემოფარა... ო, ბაღი იგი არ პავდა სხვა ბაღს ფერით, იერით და ხეხილს ხილიც სხვაგვარი ესხა, მზემ თითქოს სითბო იქ გაასესხა, იქ დაამკვიდრა დასალოერი. მე არ ვეძებდი ქალს იქ ან დაბას, უცხო ყველითა სურნელით მოვრალი. არ მეღო ცოლდა, არ მეღო ბრალი, ხოლო გარშემო იყო ჯანდაბა. არ ჩანდა მთა და არ ჩანდა ბარი ბაღის კიდიდან და ახლაც არ ჩანს. სსოენაში მხოლოდ ის ბაღი დარჩა, და დარჩა ირვლეო... ნაწანდაბარი.

“ხერეში”

ახლა მარხვას და დალევას არის ერესი, ვდგავარ სარკმელთან, გადავყურებ მძინარე ვერესის, იღვას კარი და შემოდის თითქოს პერესი, თელ-ავივში რომ შეგვხვდით ერთხელ... იქ შიმონ პერესს ვინ აკადრებდა მე რომ დღეს ვსვი, იმ ღვინოს, “ხერესს”, თუნდაც “საერესს” ან მით უფრო – “გარეჯს” თუ “პერესს,” აქ კი – “ხერესი!” – აღმაცვრად მიმზერს შიმონი, რომ არსად ჩანან ხელდანი და ორშიმონი, მან თითქოს უკვე ჩაატარა თვალებით “შმონი”

და გაქრა... ისევ სიხუმე და ისევ... ზმანება, სადღაც ტვილისში სველ მუშამბას თავი ანება ფიროსმანმა და უცვბ იქცა... ფიროსმანებად და თითო ქალაქს თითო შევლი და მარგარიტა უაგუნდა, უფირუზა, უმარგალიტა, მან ხატი შექმნა საქართველოს სტუმარ ქალიდან. ო, საოცრებაც, შემრული ვარ ისევ ზმანებით: მთვრალ ფიროსმანებს ჩაენაცვლენ მძებნი მანები, შავი ტუფლები, ცილინდრები, ხელთათმანები შეშენით, როგორც ნამდვილ დენდებს... ნიშნისმოგებით მომწერებიან გაბღენილი ბუღენბროკები და მეფეები – მეტიწრები, თავბოლოკები. მანები რაა, მომეხსლა ასი ჰობიტი და მესიწრად დამაიწყა ყველა ყოფითი წვრილმანი, დარდა. ნათურა თითქოს სოფიტი თანდათანობით შეგვეჩვიე ჩვენებებს

ზღაპრულს, ჯერ მტკიცედ ვდგავარ, დათინებით არ ვიტვხ აბრუს, თუმცა ზოგიერთს დაესხმოდა აქამდე თაბერუ. ფიქრს მინდობილი, ვინც არ იყოს, მუღამ კენტია, გონება მისი ასანთია, სული – დენთია და გხედვ: თითქოს მოუძღვება თემს ბუენდა, არ შევატოვე მე აკონდო დრო-ჟამს ოხრადო!.. მსგავსი შეხვედრა ღირს ნამდვილად “ახად”, “ოხადო”, ასეთ დროს მართლა, ძველი ქვევრი უნდა მოხადო. უნდა დააცხო კუპდარები, დაკლა კურატი და რათა უფრო სრული გახდეს შეყრის სურათი, წინ დააყენო ნაბიანი ჰაჯი მურატი. აქ თამაშობს, მგონი, ბევრი არა უნდა რა, მოგეშველება ხაჟომია და დახუნდარა, მხარს აგობამენ უელბეკი, მიღან კუნდერა. და მიუღო დამე სიცვიისგან ნაკანკალევი არ დაგტოვებენ გებიროლი, ეზრა, ჰალევი და თვით მარხვაში ასეთ ხალხთან დვინის დალღვის

იქნებ უფალმა დაგტოს ნება... არის წუთები, როცა ოთახში არ იხრნობი, არ იხუთები და მომხვედრისთვის განკუთვნილი ტყვიის ყუთები იქცევა უცვბ სანოვაგით საგსე ყუთებად, რომლებსაც ბევრი მშვიერის მზერა ესათუთება და შენ სიკეთის, სათნოების ხარ საკუთრება. გსვამ ბოლო “ხერესს”... გვერდით სკამზე თვლემს ემერსონი, ნახსადგურიდან ხვალვე გავალ ჩემი პერსონით, ქალაქს, რომელიც მელოდება, ჰქვია ხერსონი.

პუბი

დადგა ზამთარი... თერმომეტრზე უკვე ნულია, არმაგელონიც, როგორც ვიცით, დანიშნულია, ტახტის მაგივრად ცხაურს მიღმა ზის იულია და თბილისშიაც ამავრებენ ციხის ცხაურებს, სადაც დაგროვილ ბოღმებსა და მიმე აურებს თითქოს იმედის სუსტი სხვი ანაზღაურებს. ორიგამითი ძველ კანონებს ჭრინ მაკარტლით, ჯერაც ბოლომდე ვერ მოსულა გონზე ბაგრატი, მაგრამ რიონი შავი ზღვისკენ მაინც მაგრად დის. ვიდაც ამტიცვებს: აუშნოებს თეთრი პური ტანს, რაც ახლა ხდება, არაფერი მოსწონს პურიტანს და... “მამალ ძროხას” შესციცინებს თვალში ფური და. დაგროვდა ბევრი დასალოქი... დასალოქარი შენობა, ბინა, კაბინეტი... მალე მუქართით თითს დაგვიქნევინ მაკეინი... თავად ლუგარი. თითქმის ყოველდღე თვალს ვადევნებთ გლოვას, პანაშვიდს, ფარა შებრუნდა, ჩვენ კი ისევ ვრჩებით ფარაში, ზოგი – მანდატით, ზოგი – პრიზით, ზოგი – პარაშით. მიშაგება ალაყაფის კარს ემუღსია, იქ დევნილები იბახიან ერთხმად: “მურ-

სია!” და ის, ვინც მოდის, რომ შეხედო, თითქოს მურსია. გუშინ ვიდაცას ასი ვერო დაგუხურდავე, იგი ვარქსენთან ნაკამათარს ჰგავდა ცურტაველს, მრქუა; “მე ამ ფულს დაგიბრუნებ თუ გაბჭურდავენ.” ვნანობ, არასდროს არ მქონია საქმე შაშართან.. აგერ გამეღვლებს გამოეყო გუნდი აშართა და... საბუღეველი მსახიობის ვარსკვლავს აშარდავს. საროსიპოსთან გავიცვა აქტ მამლარ “მამაშებს”, დადლილი მცველი საბოლოოდ რეცხავს გამაშებს და ბურთის ნაცვლად ტურბინებში წყალს ათამაშებს. ფოთლებაცცვენილ ბაღში კვლავაც მეფობს ჭადრაკი, დავალებაცხე ფეხბურთით მიდის ბაღრაგი, (მის დანახვაზე მრავალს სახე გაუბაღრა, კი). თემიდა კუნთებს ათამაშებს, განა მოდუნდა და ამიტომაც დღეს ისინი დგანან მოდულთან, ვინც იყენენ მტრები გადმონაშთთა და ძველმოღურთა.

ზოგში სიშმაგეს აათამაგებს ავი ჰორმონი: “რამ გააჩინა ავტობანზე უცვბ ორმონი?” ზოგიც შინ მიდის თავდახრილი, როგორც მორმონი და ფიქრით: “ნუთუ ჩვენ ვიყავით სხვისთვის არტახი, რომ ერთიანად დავიღვეწით, გაგხდით პარტახი და საკარცხული დაემსგავსა იავ ბაღდახინს?..” ო, ახლა რამე მშვიდი თუა, მხოლოდ – კუკია, აქედან მოჩანს, რომ ხომალდზე მარტო კუკია იმ კუკის ბედზე ამ კუკს, ნეტავ თუ გაუგია?

ჟურნა

რომ დამაბატიონ, ვეწვითოთ ერთად კურშაველს, სულ ყველა-ყვეთი დამაბრუნებს უკან ვურშავე, ვერ გამოვიდა, ყურშას მაინც რა დავუშავე! მე ახლა ასე წარმოვიდგენ იქაურ სურათს: დილის ბინდუნდში დათოვლილი მთა გაყურსულა და “ლანდერუხერით” ბაზრობაზე მიდის ურსულა. გამორჩეულად მირჩენია ყველა სიხმარის

ხილვა, როდესაც ფანტელები რთავენ ტყის მასივს და არემარეს ვფინება “მერი კრისტმასი”. ტაძრის თაღებქვეშ ფიქრიანი მიდის აბატი, გულში – ქრისტეოთი, ხელში – ჯვარით, მხრებზე – ლაბადით და... ენატრება “კოტ დე ბურგი. შატო ლაბადი”. თუ დათანხმდები, საშობაოდ შენაც მოგტოვენ, მერე დაჯექ და ყური უგდე ღვთიურ ოქტავენს, და განიცადე, რაც აკლიათ ასე მოკვდავებს: ორღანოს ჟღერა, ზეციერის მზერა კეთილი, ბედნიერების მასტერ-კლასი და გაკვეთილი... შენ არსად ჩქარობ, შენ ონკანი გაქვს დაკვეთილი და შეგიძლია არ იჩქარო შინ დაბრუნება, სანამ სიმშვიდეს უშურველად გჩუქნის ბუნება და მისი მაღლი სულს და სხეულს ესაღბუნება. იმ მშვენიერებისთვის ერთხელა მაქვს თვალი მოკრული: ელავდა ირვლევი ყინვის ნაგში და კუბოკრული, და მებახოლნენ, მბატიყოლდნენ ხმები მოყვრული. უცვბ გამეგწვლა: იქნებ სადმე მანდ გრავალია!.. მე სადმე ახლოს დავანება მსურდა ძალიან... და რომ ვერსადაც ვერ წავედი, ყურშას ბრალია!

საკუთარ თავს

ყველა სიძველე, რომელიც ათას წელზე მეტი ხნისა და ჩვენს წინაპარს შეუქმნია, ნურავის ჰგონია, მარტო ჩვენი, იგი მსოფლიოს ხალხთა საკუთრებაა და ამიტომაც უნდა მოვუაროთ მას თვალისჩინებით!

დაწვევილი "გარდების რეგულაციის" წელს ექვსი თვე გერმანიაში ვაგატარე და რომ ვისხენებ, თითქმის არაფერი დამჩენია სასიამოვნოდ მოსაგონარი, გარდა იმისა, რომ ბერლინში გავიცანი და დავუახლოვი ცნობილ პოლიტიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს არნულფ ბარინგსა და მის მეუღლეს, ასევე ცნობილ გამომცემელსა და პოლიტიკური ჟურნალის რედაქტორს გაბრიელა ბარინგს. კიდევ იყო ერთი ყურადსაღები შემთხვევა, როცა ერთმა ჩემმა გერმანელმა მეგობარმა მცირერიცხოვანი „ქართული დელეგაცია“ ბერლინის „საბუნებისმეტყველო“ მუზეუმში მიგვიწვია.

საყოველთაოდ ცნობილია გერმანელ არქეოლოგთა დამსახურება ამ დარგის განვითარებაში და ისიც, რომ მათ თითქმის ორი საუკუნეა დედამიწის ზურგზე კუთხე არ დარჩენიათ საფუძვლიანი გამოკვლევის გარეშე, რაც ატყვია კიდევაც გერმანულ მუზეუმებს („Pergamonmuseum“ ბერლინში, „Römisch-Germanisches Museum“ კიოლნში და კიდევ უამრავი სხვა...), რომლებშიც უხვადაა ყველა კონტინენტური, მათ შორის, საქართველოდან საუკუნის წინ ჩატანილი ნივთებიც, რაც მცირე ნაწილს წარმოადგენს გერმანელ არქეოლოგთა აღმოჩენებისა, მაგრამ ჩვენი ისტორიისათვის მნიშვნელოვანს.

მოდით, დავბრუნდეთ „საბუნებისმეტყველო მუზეუმს“, სადაც ჩემს მეგობრებთან ერთად შევედი.

მართლაც გასაოცარია ის შრომა, რაც გერმანელებს გაუწევიათ ამ საქმეში და აქ გამოუყენიათ. მე არ მოყვები მათ ჩამოთვლას, სანამ დაინტერესებული პირი ბერლინში ჩავიდოდეს, მას შეუძლია ინტერნეტით გავაცნოს ექსპონატებს. მე, ათასწლეულების წინანდელი ცხოველებისა და ადამიანების ჩონჩხებისა თუ თავის ქალების გარემოცვაში, დმანისში, იგივე გერმანელ არქეოლოგებთან ერთად ნაპოვნი „ხეზვა და მზია“ გამახსენდა. წინასწარვე სიამაყით აღვივსე და ჩვენს საგანგებოდ დაქირავებულ გიდს (იქ ყურთსასმენიანი პლეიერებია გაქირავებაში იმ სტუმრებისთვის, ვისაც, მცირე თანხით, თვალის გარდა, გონების გახარებაც ჰურს) დარწმუნებულმა, რომ აუცილებლად გამოყენილი იქნებოდა ამ საოცრებათა მუზეუმში, ვთხოვე, დმანისში ნაპოვნი „ხეზვა და მზია“ ეხვენებინა და მათი ისტორიაც მოეთხრო.

რომ იტყვიან, აქ გაფუჭდა საქმე – არამც თუ გამოფენილი, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა პროფესიონალ გიდს დმანისის „მსოფლიო აღმოჩენაზე“... ამან ძალზე გამაღიზიანა და იძულებული გავხდი, ფეხზე დამეყენებინა მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლები. შედეგად, რომ იტყვიან, „მაშინვე დიადგა“ – მიგვიყვანეს კარადასთან, საიდანაც გადმოლაგებული, მად-აღლოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ქურნალები უზარმაზარ მაგიდაზე ვერ დარტყა, იმდენი მასალა ჰქონიათ ჩვენი „სახელწოდებნი წინაპრების“ – ხეზვასა და მზიას შესახებ!

რამდენჯერმე ვესტუმრე ამის შემდეგ ამ მუზეუმს „Invalidenstrasse“-ზე და როცა გამიზინაურდნენ, ასე მოთხრეს: „ჩვენ ყველა ექსპონატს ერთნაირად ვავასებთ და ვუვლით, მაგრამ, თუ ისინი უცხო ქვეყანაშია აღმოჩენილი, განბის მშობლიური ქვეყანა უნდა ცდილობდეს მისი სიამაყით წარმოჩენას. თქვენ პირველი ხართ, ვინაც ეს „ბედნიერი წყვილი“ მიიკითხათ!“.

სმა არ ამოვიღია, რადგან გამახსენდა ისევ ქართველების მიერ „ხეზვასა და მზიას“ პირველ ევროპელებად აღიარების გამო საქართველოში ატეხილი ეჭვები და ქიტილი.

დიდი ხნის წინ, როცა ჯერ კიდევ „გდრ“ და „ფგრ“ არსებობდა და არც ერთი არ თმობდა პირველობას – „გდრ“ სოციალისტურ სამყაროში, „ფგრ“ კი – კაპიტალისტურში, მეუღლესთან ერთად ორი თვე რურის მხარეში მომიწია ყოფნამ. ჩვენი შემოქმედი მასპინძლების წყალობით, თუკი სადმე თვალის შევლება და ხელის მიწვდენა შეიძლებოდა, სანახაობა და მუზეუმში არ დავგრჩენია დაუთვალადიერებელი. რა თქმა უნდა, მათ შორის „Kölner Dom“-ი და მის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე „Römisch germanisches Museum“-ი. სულ

თუ პატივს არ

რადაც ნახევარი საათის შესულზე ვიქნებოდათ მუზეუმში, როცა ჩვენმა გიდმა, საოცრების წინაშე დაგვაყენა: მუზეუმის სარდაფში ვანის ახელედიანის გორაკზე ნაპოვნი ექსპონატების მდიდრული გამოფენა ვიხილეთ. ვიფიქრე – საქართველოდან ჩამოიტანეს და გამოფინეს-მეთქი, მაგრამ მარინამ, ჩემმა მეუღლემ, მიმანიშნა – ნახე რა აწერია ექსპონატის – „ნაპოვნია მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის სამხრეთ პროვინციებში“... არავის გახსენებია საქართველო!

არ გავაგრძელებ, რა დისკუსიები მოჰყვა ამ ამბავს მასპინძლებთან – ეს სხვა თემაა!.. საითაოდ გადავივდიე ეს ექსპონატები სლაიდებზე და ჩამოვიტანე თბილისში. არ დამიტოვებია Tsa, ისტორიის ინსტიტუტი თუ მუზეუმი, მაგრამ თავი არავის მოუვლავს მათი მოძიებით. ათი წლის წინ იგივე სურათი დამხვდა, შარ-შანწინ კი საერთოდ გატანილი იყო ექსპონატიდან და მითხრეს არქივში იქნება გადატანილი!

უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რამაც იქამდე მიგვიყვანა – ჩვენი, ქართველთა უყურადღებობის გამო არ ვხანგრძობთ იქ, სადაც უნდა ვკავშირდებოდეთ! შორს სად მივდივართ?! როცა ბატონი ვიაკაშვილივას მიერ „ფესტივის დისკოს“ გამოფრვამ მსოფლიოს ერთმეცნიერთა საყოველთაო აღიარება მოიპოვა და ამ თემაზე მიძღვნილი მარტო უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებული ანოტაციები ათუელობით გვერდზე არ ეტყვა, ქართველ ენათმეცნიერებელ წოდებული ზოგიერთი ჭილეკავი უარყოფს და სიყალბედ აცხადებს მას!

ფუი, თქვენს განმეხს, თქვენ ქართველებად როგორ უნდა იქნადიოდეთ!..

არ მინდა გერმანიაში ნანახის მოკონე-ბით გადავდლოთ, მაგრამ ერთ შემთხვევას გვერდს ვერ ავუვლი. რურის მხარეში, როზი და ვილი ბრინკმანებთან ყოფნისას, სმირად ვსტუმრობდით მათ მეგობრებს, ტრადიციულ გერმანულ ოჯახებს (სამწუხაროდ, იშვიათად თუ მოხვდება ასეთ ოჯახებში სასწავლებლად თუ სამუშაოდ ჩასული ქართველი), სადაც თითქმის ყველგან ჩემს ყურადღებას თანამედროვე დიპლომატისმაგვარი ჩემოდანი იბერებდა, რომელსაც ან ტილო, ან ტყავი ჰქონდა გადაკრული. ვიკითხე, რა დანიშნულება ჰქონდა ამ ნივთს.

რურის მხარის ქალაქ პატინგენის გიმნაზიის დირექტორი მოგვიყვა საინტერესო ისტორიას „დიპლომატ-ჩემოდნის“ შესახებ: „მეორე მსოფლიო ომის დამთავრების წელს სასტიკი ზამთარი იდგა გერმანიაში. ომწაგებული ქვეყნისთვის უპირველესი საზრუნავი ენერგეტიკული პრობლემის მოგვარება იყო. მამაკაცებამოწყვეტილ ქვეყანაში მემსახტეობა ქალებმა ითავეს და ყველა სოფელსა თუ ნაქალაქარში გორებდად ეყარა დაკოქილი ქვანახშირი. ოჯახზე რვა კილო იყო დაწესებული (ნორმალური მონხარებისთვის საძვერ მეტი იყო საჭირო). წარმოიდგინეთ, სამუშაოდღის ბოლოს, რამდენი მწონავი დასჭირდებოდა საწვავის განაწილებას. ქვეყანას ხარჯები რომ შემცირებოდა, თვითონ საღებმა მოიოქრა, დაემზადებინათ მოხერხებული ყუთი თუ დიპლომატი (ისე უწოდებდნენ, როგორც მოგეწონოთ), რაშიც ზუსტად რვა კილო, ან ცოტა მეტი ჩადიდდა და თვითონ მომსახურებოდნენ საკუთარ თავს...“

– თუ იყო შემთხვევები, როცა ვინმეს ხელი წასცდებოდა და მეტი მიჰქონდა?

– სამწუხაროდ იყო! მაგრამ, ასეთი სულ-წამხდრები იძულებული იყვნენ, სოფელი დაეტოვებინათ და მსხვაგან, უცხოებში გადასახლებულიყვნენ!..“

ცოტაოდენი დუმილის შემდეგ მიაყოლა: „სხვანაირად ვერაფერს გავხდებოდით, ჩვენ უდიადესი მიზანი გვექონდა, ომისგან დანგრეულ სამშობლო უნდა აგვეშენებინა!“

ჩემმა „საგანგებო დანიშნულების ჩემოდნით“ დაინტერესებამ იქამდე მიგვიყვანა, რომ მე და ჩემს მეუღლეს მომავალი კვირის ბოლოსთვის „სიორპრიზი“ შემოგვთავაზეს და სამასი წლის წინანდელი, თითქმის საუკუნის წინ დახურული ქვანახშირის მადრო დავგათვალდებინეთ. საგანგებოდ მოწოდებული ფეხით სავალი ბილიკით, რიბი-რაბომოდებული გვირაბი გავიარეთ და მცირე ზომის დარბაზს მივადექით, სადაც ჭერსა და იატაკზე პატარა პატარა ძუძუებით ამოპურცული წყლის ნაწვეურები საგანგებოდ გაენათებინათ!

ვცემთ, სხვას რაღას ვიპოვებთ?

მაშინვე მივხვდით, რისთვისაც მოგვიყვანეს აქ მასპინძლებმა. ხმა არ ამოვივლია, რადგან სათაფლის, ახალი ათონის, ნავე-ნახევის მღვიმეების და იქ დაცული მილიონი წლების წინანდელი სტალაქტიტების და სტალაგმიტების პატრონებს რა გაგვაოცებდა, მაგრამ კარგად გვეცმოდა, რომ ყველა იმითი ამაყობს, რაც აქვს, ხოლო რაც არა აქვს, იმის სანახავად სტუმრად მიდის! სამწუხაროდ, ეს აქსიომა ქართველთა იმ ნაწილზე არ ვრცელდება, რომლებიც საკუთარ სახლში ნაპოვნსა და წინაპართა მიერ შექმნილს მუდამ ეჭვის ქვეშ აყენებენ!

დასანანთან ერთად დანაშაულია, რომ საყდრისის უნიკალურ ოქროს მადაროს, სწორედ ასეთი ბედი ეწია. იგი ზემოთ სხენებულთა ხელში აღმოჩნდა და განადგურებისგან მცირერიცხოვან ქართველ სწავლულბებთან ერთად გერმანელების დასაცავი გახდა!

ჩვენდა საბედნიეროდ ამ უნიკალური აღმოჩენის თანამონაწილენი გერმანელები იყვნენ. ამ ბედნიერმა შემთხვევამ შეიძლება გადაარჩინოს კიდევ ოქროსმომპოვებელი ვანდალებსგან 55 საუკუნოვანი უნიკალური ძეგლი, რომელსაც გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, დოქტორი სვენდ ჰანსენი საქართველოს კულტურის მინისტრისადმი გამოგზავნილ თხოვნა-წერილში ასე ახასიათებს:

„DEUTSCHES ARCHÄOLOGISCHES INSTITUT EURASIEN-ABTEILUNG DER DIREKTOR Prof. Dr. Swend Hansen

საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრს, ბატონ გურამ ოდიშარიას!

პატივცემულო ბატონო მინისტრო, ნება მიბოძეთ გამოვხატო ჩემი გულსიტკბოილი საყდრისის რეგიონში მდებარე არქეოლოგიური ძეგლის შესახებ.

ოქროს საბადოებისა და მასთან დაკავშირებული ნასახლარის აღმოჩენა, რომელიც თარიღდება ძვ.წ.აღ. 4-3 ათასწლეულით, არის ერთგვარი სენსაცია. ეს არის უძველესთაგანი ოქროს საბადო მსოფლიოში. მისი შესწავლა წარმოადგენს აუცილებლობას არა მარტო საქართველოს კულტურისთვის, არამედ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მესოპოტამიის კულტურებისა და მათი ნედლეული უზრუნველყოფის კვლევისთვის. საყდრისის ოქროს საბადო წარმოადგენს ერთ-ერთ შთამბეჭდავ არქეოლოგიურ ძეგლს მთელი ევრაზიის კონტინენტზე. ამ ძეგლების უნიკალური სამეცნიერო პოტენციალიდან გამომდინარე ძალზე მნიშვნელოვანია მათი შესწავლა და შენარჩუნება სამოხაველოდ.

2005 წლიდან ქართულ-გერმანული ექსპედიცია აწარმოებს არქეოლოგიურ გათხრებს ადრესამიწათმომქმედო ნამოსახლარ არხულში (ნახიდურში). საგარდაუდოდ, უკვე ამ დროისათვის გამოკვთილი იქნა ინტერესი მინერალური რესურსებისათვის, რომელიც მოიპოვებოდა მდინარე მაშავერას გასწვრივ. ჩვენი საკუთარი კვლევებიდან გამომდინარე, ამ რეგიონის არსებული უდიდესი პოტენციალი არასაკმარისად არის შესწავლილი.

მე მიმანია, რომ ქვემო ქართლში მდებარე არქეოლოგიურ ძეგლებს აქვთ არა მარტო მეცნიერული, არამედ ეკონომიკური დატვირთვა: ეკრძოდ შესაძლებელია ტურისტული მარშრუტის შედგენა, რომელიც მოიცავს დმანისს, როგორც ვერთაპში უძველესი ადამიანის აღმოჩენის ადგილს; არხულს, როგორც ადრესამიწათმომქმედო ნამოსახლარს და საყდრისს, როგორც მსოფლიოს უძველეს ოქროს მადაროს. შესაძლებელია, ასეთმა მარშრუტმა მიიზიდოს ათასობით ტურისტი. ეს შეიძლება გახდეს პროექტის მომავლისათვის მისი, როცა ოქროს მოპოვება მხოლოდ თანამედროვეობის პროექტს წარმოადგენს გრძელვადიანი პერსპექტივის გარეშე. ძალიან გთხოვთ, მხარი დაუჭიროთ არქეოლოგიურ გამოკვლევებს საყდრისსა და მთლიანად მაშავერას რეგიონში. დაგვეხმარეთ, შევინარჩუნოთ წარსულის უნიკალური ძეგლები.

წინასწარ გიხდით მადლობას გულსიმძივრებისათვის, პატივისცემით, პროფესორი დოქტორი სვენდ ჰანსენი.

ამ წერილის ასლი გადაეგზავნება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის და ძეგლთა დაცვის სააგენტოს და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს.

ვინ იფიქრებდა, ასეთი უხუცესი შემქმნელი წერილის შემდეგ ვინმე კაცთაგანი ეჭვის ქვეშ დააყენებდა ზემოხსენებული ძეგლის

უნიკალურობას, მაგრამ... ეს სასწაულიც მოხდა, როცა ოქროს მომპოვებელმა, საეჭვო წარმომავლობის კომპანიამ განაცხადა – „აქ მილიარდი ლარის ოქრო უნდა ამოვიღოთ, საიდანაც სახელმწიფომ მოგება უნდა მიიღოს!“ აყაყანდა სეთურის ბანაკი, ქართველ ჩინოვნიკთა „გაკიკუბულო“ ნაწილი და მორთო ბლავილი – „ბევრი ფული ბაბაია, ბევრი ფული!“

არქიფო სეთურმაც არ დაახანა, ფეხებზე დაიკიდა არა მარტო ქართველების კუთვნილი უნიკალური ისტორიული ძეგლი და მას, ხან „მომრავი“, ხანაც „მხოზავი“ უწოდა!

გერმანელებს უწუნებენ, ეს ცოდვისშვილები, არქეოლოგიის ცოდნას!.. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, ეს უძველესი საბადო მარტო ქართველთა აღმოჩენილი რომ იყოს, ციხეში ჩაყრიდნენ ყოველ მათგანს, კინოფილმ „რეკორდისა“ არ იყოს, „ისტორიულ-კულტურული აფერისტობისათვის!“

გასაოცარია, ამდენი უგვანობა და უჯიშობა ერთმანეთს როგორ ეთხვევა! ამ რამდენიმე კვირის წინ, ინგლისელ ენათმეცნიერთა მიერ გამოთქმულმა ვარაუდმა – „ბაბილონის გოდოლის მშენებელთა ენა ქართული უნდა ყოფილიყო“ მხოლოდ, ე.წ. ქართველ ენათმეცნიერთა ერთი ჯგუფით აყაყანა – „ინგლისელებს რა ესმით, ეგ ტყუილიაო!“ არავის სხვას კრინტი არ დაუძრავს.

ჩემო ძვირფასო მეითხველო, ეს სხვა არაფერია, თუ არა ქართულ სივრცეში შემოთესილი უცხო ტომის ქართულ გვარ-სახელიანთა და შემოტევა ჩვენი ქვეყნის ისტორიის უძველესი ფურცლებიდან ამოსადირკვად!

წელს, ბუნების ჭირვეულობამ ლამის ყველაფრის მოსხაველი მოსპო სოფელში!.. ამბობენ, მხოლოდ „ცოცხი“ გადაურჩაო სტიქიას! დარწმუნებული ვარ, ბევრი „ცოცხის“ ხსენებისას მისი არატრადიციული დანიშნულებით გამოყენებას წარმოიდგენს!

არა, ბატონებო, სულაც არ მიფიქრია ის სიბინძურე, გადაგვარებულმა მიშა-შეურაცხადმა და მისმა ნადირალებმა „ნაცმოური ცხოვრების წესად“ რომ უქციეს ქვეყნის მოსახლეობას წლების მანძილზე!

ჩვენ თუ წარსულს, ისტორიას, ტრადიციას და დირებებს დავთმობთ, წლებიანდელი, მოჭარბებული „ცოცხის“ მოსავალი საკმარისი იქნება იმისათვის, რომ უვარგისი ერების და ქვეყნების სანაგებზე მიგახვედნენ!

ერთი წუთით წარმოვიდგენ – ის, რაც ზემოთ მოყვევი, ჩვენი სამხრეთული მეზობლის საკუთრება რომ იყოს, ბერლინის, კიოლნის და მსოფლიოს ყველა მუზეუმებში მხოლოდ მათ ენახე ისაუბრებდნენ!..

დაპიტი მოხალაო! P.S. მეკონა, ბოლომდე მივიყვანე ეს, არც თუ ისე სასიამოვნო წერილი – ტელეკრანზე ოქროს მომპოვებელთა „დამცველი“ საპროტესტო აქციის მონაწილეებს აჩვენებენ!

„არქიფო სეთურის ბანაკი“ დამიდეგა თვალწინ უნიჭოდ მომზადებულ „მეპროტესტოთა“ გამოსვლების შემყურეს... მოგვიანებით არქიფო სეთურიც გამოჩნდა საკუთარ კაბინეტში. მოურთხილებლად ლანძღავდა უცხოელ და შინაურ არქეოლოგი-მეცნიერთა აღმოჩენას და სიყალბესა და მატყუარობაში ადანაშაულებდა მათ!

გვიან შევინშენე, ასინეთა „უკუდანი“ არ ჩანდა არსად!.. ეტყობა, ბობოს აგუფიანებდა „მამა და მარჩენაღის“ დასაცავად და ჯოხმოდებულნი დასძახოდა – „დაძკა, დაძკა მათ, მამა და მარჩენალი მუდრეგაო თქვესო!“

– თქვე მართლა მუდრეგებო, სამთავრობო და არასამთავრობო მუდრეგებო! იქნება, ახლა მაინც მიხვდეთ, რომ ქვეყანაში მართალი ისტორია იქრება და არავის ეპატიება მისი შელახვა!

გეტყობათ, გათამამდით ყოფილ სამთავრობო კრიმინალთა დაუსჯელობის გამო. იმის გამო, რომ დღემდე არავის დაუთვლია, ვინ რამდენი ზარალი მიაყენა ქვეყანას, ვინ რამდენი მარცვა იგი და საგულდაგულოდ გადაინახა ამერიკელი ჟურნალისტის ჯორჯ რიშპლის წიგნში („ვის ეკუთვნოდა საქართველო 2003-20013 წლებში“) გაცხადებულ ობშორულ ზონებში!

ცოტაც დაიცადეთ და სწორედ ის არქიფო სეთურის ბანაკი ბინადარი და გაყრევინებთ არმად ნაშოვნ მდიდრებს, რამდენიმე საათის წინ ტელეკრანზე ნანახ საპროტესტო აქციაზე რომ იცავდნენ თქვენს ინტერესებს!

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალაღანიას საქართველოს XXV ჩემპიონატის მონაწილე გუნდების წარდგენა



ტორპედო (ჭუთაისი)

წინა სეზონი რომ იწყებოდა, ჩემპიონობის უმთავრეს ფავორიტებად თბილისის "დინამოსთან" და გორის "დილასთან" ერთად ჭუთაისის "ტორპედოსაც" ვახსენებდით და ეს ლოგიკურად იყო. თუმცა ამ ზაფხულს "ტორპედოში" ისეთი საკადრო "რეველუცია" მოხდა, მსგავსი არც ერთ გუნდს რომ არ შესებია.

უმადლეს ლიგაში: ქართული საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მწვრთნელთან, გია გუგუნიძესთან ერთად ჭუთაისთან დამშვიდობება მოუხდათ გამოცდილ მოთამაშეთა, ფაქტობრივ, აბსოლუტურ უმრავლესობას.

არადა, ყველა ეს ფეხბურთელი ძირითადი შემადგენლობის შეუცვლელი წევრი იყო: ომარ მიგინიევილი, გიორგი ონიანი, გრიგოლ დოლიძე, გიორგი გურული, გიორგი დათუნაიშვილი, გიორგი ბერიანიშვილი, ელგუჯა გრიგალაშვილი და სხვები.

ასეთი რადიკალური ცვლილება რა შედეგს მოიტანს, ანელი სათქმელია, თუმცა ჭუთაისური კლუბის ხელმძღვანელობამ აქცენტი რომ სამომავლო პროექტზე გააკეთა, ფაქტია: "ტორპედოს" ღირსებას

ამიერიდან დაიცავენ პირველ ლიგაში მოასპარევე თბილისის "ლოკომოტივის" ერთი-მეორეზე პერსპექტიული ახალგაზრდა ბიჭები, რომელთა უმრავლესობაც საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებში ასპარეზობს.

მწვრთნელიც იქიდან გადმოჰყვით ამ ბიჭებს: ესპანელ ეურად სარაგოსას მაქსიმალური ძალისხმევა დასჭირდება, მომთხოვნ ქუთაისელ გულშემატკივრებს თავი რომ მოაწონოს...

პროგნოზი: უმადლესი ლიგის ყველაზე ახალგაზრდულ გუნდს სერიოზული ბრძოლა მოუწევს ზედა ექვსეულში მოსახვედრად.

ჩიხურა (სახნებრი)

გასული სეზონი "ჩიხურას" ისტორიაში, უდავოდ, ყველაზე წარმატებულია: გუნდი პირველად გავიდა თასის ფინალში და, რაც მთავარია, ევროპალიგაზეც მოხვდა!

ამ წარმატების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი, რაღა თქმა უნდა, გუნდის მთავარი მწვრთნელი, გამოცდილი სპეციალისტი სოსო ფრუიძე გახლავთ, ვინც სხვა კოლეგებისგან განსხვავებით, უკვე წლებია ერთსა და იმავე გუნდში მუშაობს.

ასეთი შედეგებიანი სეზონის შემდეგ "ჩიხურასთან" კვლავაც წარმატებულ ასპარეზობას ელოდება საჩხერელი ქომაგი, მაგრამ საშინაო არენის მოუწესრიგებლობამ, შესაძლოა, უარყოფითი როლი ითამაშოს: გარკვეული პერიოდის განმავლობაში "ჩიხურა" მეტოქეებს ქუთაისში უმასპინძლებს.

ისე, არ დავმალავთ და ჩვენც გაგვიკვირდა წინა სეზონის მერე გუნდში განხორციელებული ცვლილებები, გუნდის ლიდერები (გიორგი სომხიშვილი, დავით ოდიკაძე, ბესიკ დეკანოიძე, ნიკა კვასცხაძე) კვლავაც "ჩიხურაში" არიან და ამით რამდენიმე გამოცდილი (დემიტრი ტატიანაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი,

რატი წინამძღვრიშვილი) და ახალგაზრდა (ჯაბა ჯილაური, დავითი კაკულია) ახალწვეულიც დაემატა.

პროგნოზი: წინა სეზონის მსგავსად, "ჩიხურას" ზედა ექვსეულში მოხვედრა არც ახლა უნდა გაუჭირდეს; ისე როგორც ევროტურნირების საგზურის მოპოვება.

უმსტავრონი

კლუბის 9-წლიანი ისტორიაში ყველაზე წარმატებული სეზონი წარსულს ჩაბარდა, ისე როგორც გუნდის წინაშე არსებული პრობლემები! პო, ნამდვილად არ იყო კარგი საქმე, როცა ჯერ კიდევ თვეთენახვერის წინ, "ხესტაფონის" ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა!

არადა, ლაპარაკია ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ქართულ კლუბსა და საქართველოს ორგზის ჩემპიონზე...

საბედნიეროდ, გუნდს არც დაშლა ემუქრება, კლუბის უცვლელი პრეზიდენტი ილია კოკიაძე ადგილზე დარჩა, ახალი მწვრთნელიც "მოიძებნა" და მეტ-ნაკლებად ბრძოლისუნარიანი შემადგენლობაც უნდა ევლოდოდ.

ისე, ახალ მწვრთნელს, სერბ სპეციალისტს რაკო დოსტანინს საკუთარი შესაძლებლობების წარმოსაჩვენად გარკვეული დროც დასჭირდება: ჩემპიონატის ფავორიტთაგან ახალი სეზონისათვის მზადება ყველაზე გვიან ხომ "ხესტაფონმა" დაიწყო.

"ხესტაფონშიც" სერიოზული საკადრო ცვლილებები მოხდა და შარშანდელი თუ შარშანწინდელი საჩემპიონო შემადგენლობიდან, გუნდში მხოლოდ მეკარე როინ კვასცხაძე დარჩა.

რაც შეეხება ახალწვეულებს, მათგან ორი გამოცდილი ფეხბურთელის აღნიშვნა გვიანდა, გარკვეული პაუზის მერე რომ დაუბრუნდნენ საქართველოს ეროვნულ

ჩემპიონატს – ილია კანდელაკი და გიორგი ადამია.

პროგნოზი: საპრიზო სამეულში მოსახვედრად იბრძოლებს და არ არის გამორიცხადი, საჩემპიონო დავაშიც ჩაერიოს.

ზუბდილი

წინასახეზონო პერიოდში ყველაზე არადაამაიმელებელი ინფორმაცია ზუბდილიდან მოდიოდა: სრულფასოვანი შეკრების გაგვლას ვინ ჩივის, გუნდს მთავარი მწვრთნელიც არ ჰყავდა და ეს პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ ამ ერთი კვირის წინაც მოგვარდა! ძალიან, ძალიან სამწუხაროა, რომ გუნდს ასეთი პრობლემები შეექმნა, ოღონდ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ წინა სეზონის "გამომახილია".

შეგახსენებთ, რომ XXIV ჩემპიონატის პირველ ეტაპზე "ზუბდილი" არცთუ ურიგო ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული და ზედა ექვსეულშიც დამსახურებულად მოხვდა.

აი, მერე კი სიტუაცია აშკარად უარესობისაკენ შეიცვალა და კიდევ კარგი, რომ გუნდი ზედა ექვსეულში იყო, თორემ, მწირი ქულათა მარაგით, შესაძლოა, დაქვეითებაც არ ასცდებოდა.

"ზუბდილიში" ამჟამად ძირითადად ადგილობრივი ფეხბურთელები ითამაშებენ, თუმცა რამდენიმე გამოცდილი მოთამაშის დამატებაც აუცილებლად წაადგება.


მოკლედ, ამ საკუთარი "ხელწერის" მქონე გუნდს ურთულესი სეზონი ელოდება ახალი მწვრთნელების ხელმძღვანელობით: "ზუბდილს" ოთარ თუთბერიძისა და კლიმენტე წიტიანიშვილის "დუეტი" გააქრთინოს.

პროგნოზი: ზედა ექვსეულში მოხვედრა გაუჭირდება, ზამთარში შემადგენლობის გაძლიერების შემთხვევაში კი უმადლესი ლიგადან გაგვარდნის საფრთხე არ უნდა დაემუქროს.

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "გამრია – XXI საუკუნის საუკეთესო მინი-ჯიპი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საბამოცემო ჯგუფი



აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ბერმანული ოქროს დაბრუნებაზე უარი თქვა!

(ესეც შენი ამერიკა!!!)

მსოფლიო კარგავს დოლარს, როგორც ყველაზე საიმედო ვალუტის რწმენას. უნდობლობის ტალღა მას შემდეგ აზვირდა, რაც გერმანიის ფედერალურმა ბანკმა აშშ-ის ფედერალურ სარეზერვო სისტემაში დაცული უზარმაზარი რაოდენობის ოქროს რეპარტიცია მოითხოვა. ზოგიერთი შეშფოთებული იმით, რომ სხვა ქვეყნების ნაციონალური ანაბრები აშშ-ში უსაფრთხოდ ვერ იქნება.

ცოტა ხნის წინ გერმანიამ გადაწყვიტა დაიბრუნოს მთელი ოქრო, რომელიც აშშ-ში ინახება, მაგრამ ამერიკის ფედერალურმა რეზერვმა განაცხადა, რომ ეს შეუძლებელია, რადგან მთელი ოპერაცია შესაძლოა 2020 წლამდე გაიწელოს. გერმანიის წარმომადგენლებმა ცენტრობანკის საცავებში შესვლის ნებართვა მოითხოვეს, მაგრამ უარი მიიღეს. დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ საცავი მაინც გახსნეს, მაგრამ მასში შესვლა და, მითუმეტეს, ოქროს ნახვა ვერაინ მოახერხა. გერმანია აშშ-ის ცენტრალურ ბანკში თავისი ოქროს მარაგის დაახლოებით ნახევარს ინახავს.

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის ფინანსურმა ინსტიტუტებმა უკვე დიდი ხანია სახელი გაითქვეს იმის გაყიდვით, რაც სინამდვილეში არ არსებობს. მაგალითად, 2012 წელს ბანკი „გოლდმან საქსი“ ოქროს სერტიფიკატებს ყიდდა და ამტკიცებდა, რომ ისინი მის საცავებში არსებული რე-

ალური ოქროთია უზრუნველყოფილი. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, არანაირი ოქრო იქ არ ყოფილა, ხოლო ბანკი ფრაქციული რეზერვის სიტემით მუშაობდა – იმის საფუძველზე, რომ თავისი ოქროს დაბრუნებას, ალბათ, მხოლოდ რამდენიმე მეანაბრე თუ მოითხოვდა.

საქვეყნოდ ცნობილია ის ამბავი, რომ მსოფლიოში 100 ტრილიონამდე ამერიკული დოლარი დათარეშობს, რომელიც არაფრით არ გახლავთ გამყარებული, და თუ ამერიკა ვერ ახერხებს საკუთარი რეზერვიდან გერმანიისათვის მისი კუთვნილი ოქროს დაბრუნებას, წარმოიდგინეთ რა მოხდება, თუ ქვეყნების გარკვეული ნაწილი მათ ეკონომიკაში მბრუნავი თუნდაც ათი ტრილიონი დოლარის დასაქონლებას მოითხოვს. ამით ამერიკის ეკონომიკა დაინგრევა და ბევრ ქვეყანასაც ჩაიყოლებს თან.

ამიტომ გემართებს დიდი სიფრთხილე აშშ დოლართან მიმართებაში.

ამ ეჭვს აძლიერებს ის ტრავმაც, რომელიც ამერიკაში 2001 წლის 11 სექტემბერს დატრიალდა. საუბარია ნიუ-იორკის სავაჭრო ცენტრზე "აღ-კაიდას" მიერ მოწყობილ თავდასხმაზე, რომელსაც სამი ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ისტორიკოსებისთვის ცნობილია, რომ 1901 წელს, ჩინეთმა, რომელიც იმ პერიოდში სერიოზულ პოლიტიკურ და რეველუციურ რყევებს განიცდიდა, ეროვნული ხაზინის

გადარჩენის მიზნით მთელი თავისი ოქროს მარაგი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაიტანა და 100 წლით შესანახად მი-აბარა ამერიკის სახელმწიფო ბანკს. ეს ვადა 2001 წლის 12 სექტემბერს იწურებოდა და ჩინეთს თავის საცავებში უნდა გადაეტანა ოქროს საკმაოდ დიდი მარაგი. მაგრამ, როგორც იცით, ერთი დღით ადრე – 2001 წლის 11 სექტემბერს მოხდა ცნობილი ტრავმაც, რამაც მსოფლიოს რუკა საფუძვლიანად შეცვალა. რაც შეეხება ჩინეთის ოქროს, იგი ტრავმაციის დღეს უკვალოდ გაქრა, ხოლო "ფორს-მაჯორული" გარემოების გამო ამერიკის შეერთებული შტატები პასუხს არ აგებენ უიმედოდ დაკარგულ საგანძურზე.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არამც თუ სხვა ქვეყნების მიერ შესანახად მიბარებული (ეს ხომ იგივეა, მეგვს რომ ცხვარი მიბარო) ოქრო, არამედ საკუთარი ოქროს მარაგიც კი არ გააჩნია, რაც მყარ კორანტიას შეუქმნიდა მსოფლიოში სახალად მოდებულ დოლარს!

ამიტომ, ნაკლებ საწმუნოა ეკონომიკურმა ექსპერტებმა არ იცოდნენ, რომ უახლოეს მომავალში მსოფლიოს თავს დაატყდება ამერიკის შეერთებული შტატებიდან წამოსული ეკონომიკური კრიზისის მძლავრი ტაიფუნი, რომელიც მრავალ ქვეყანას მოიყოლებს ქვეშ!

საპ. იწვ

Publication information including ISSN 1987-8966, publisher details for 'ილორი', and subscription information for 'გაზეთი "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge